

სონეტები

1.

მშვენიერებას უნდა დარჩეს მემკვიდრეობა,
რომ სილამაზემ იფერადოს ვარდის კონებად,
დამჭკნარ სიტურფეს მაინც ვერ ჰკლავს უამის ღრეობა,
მემკვიდრე არის მისი ხსოვნა და მოგონება.
გრძნობებს რომ ფანტავ, რაღა გრჩება, ნეტავ, მარაგად,
შენ, საკუთარი სილამაზის მონადქცეულო?!
ხრიოკ უდაბნოდ რად აქციე რთველის ბარაქა
შენ, საკუთარი არსებობის მტერო წყეულო!
მთელი მსოფლიოს სამკაული შენა ხარ ახლა,
მხოლოდ შენ ძალგის გაზაფხულთან გაბაასება,
რად არ გაშინებს, თუ ნაყოფი კვირტშივე გახმა,
მშვენიერებას რატომ ფლანგავ, ძუნწო არსებავ?!
წუთისოფელი შეიბრაღე, შენს მზეს რომ ფიცავს,
მაგ სილამაზეს ნუ დაუთმობ სამარის მიწას.

2.

როცა ორმოცჯერ დაიზამთრებს შუბლი მწყაზარი,
მაშინ ღაწვებიც დროის ხნულით ნაოჭდებიან,
ეგ სამოსელიც შეიქმნება ძონძი საზარი
და სილამაზის ნაფლეთები გამონდებიან.
მაშინ გკითხავენ, რა უყავი სიტურფის სხივებს,
საით დამარხე წარსულ დღეთა საგანძურები,
შენ უპასუხებ: „სილამაზეს სამარედ მივეც
ეს ჩაცვინულნი თვალნი ჩემნი დატანჯულები“.
შენი პასუხი შენს დაცინვად მოგეჩვენება,
არა სჯობია, მაშინ გკონდეს ყველგან სათქმელად:
„აი, ეს არის ჩემი შვილი, ჩემი მშვენიება,
ჩემი სიბერის პატიება და გამართლება“.
მემკვიდრე შეჰქმენ, რომ დაგიცხროს ეს იარები
და სიბერეში სიჭაბუკეს ეზიარები!

3.

სარკეში იგრძნობ – დროა უკვე გახდე მშობელი;
განმეორება საჭიროა ბუნების განძთა.
მოტყუებული რომ არ დაგრჩეს წუთისოფელი
და ვინმე ასულს არ მოაკლო დედობის განცდა.
ყველა ქალისთვის სანატრელი მამაკაცი ხარ,
ყველა ქალწული შემოგწირავს თავის მშვენებას,
მაგრამ საკუთარ სილამაზეს გაუტაცნიხარ
და არ გაფიქრებს შენი მოდგმის გადაშენება.
დედაშენისთვის წარსულ დღეთა სარკე შენა ხარ,
მას ნეტარ აპრილს გაუცოცხლებს სიერმე შვილისა,
როცა შენს შუბლსაც ნაოჭებით ჟამი შელახავს,
მაშინ გაგიღებს შვილი სარკმელს სიყმაწვილისას.
უშვილ-უძირო თუ დარჩები მიუსაფარად,
მაგ შენ სახესაც შენთან ერთად მიწა დაფარავს.

4.

ჩემო მფლანგველო, რა მძარცველი გული გქონია,
რად გადაწყვიტე სილამაზის გაჩანაგება?!
მშვენიერება საკუთრება რატომ გგონია?
მშვენიერება მხოლოდ სესხად მოგცა განგებამ.
ლამაზო ძუნწო, საგანძური რატომ გაფანტე,
რაც მომავლისთვის საანდერძოდ გიძღვნა ბუნებამ!
ჩემო მევახშევ, სხვის ქონებას რატომ აბანდებ,
როცა სარგებელს არ იძლევა განძის ბრუნება!
თავადვე გწამლავს უსარგებლო ვაჭრობის შხამი,
საკუთარ თავის გასაძარცვად მართავ ბაზრობას,
მაგრამ დადგება საბოლოო განკითხვის ჟამი
და, ნეტავ, რითი გაამართლებ მაგ უაზრობას.
უმოდგმოდ ქრება სილამაზე, ვით მოჩვენება,
მომავლის შემქმნელს ჭირისუფლად რჩება მშვენება.

5.

ერთიმეორეს რომ მისდევენ დინჯი წუთები,
მშვენიერებას აყვავებენ გაშლილ ვარდებად,
მაგრამ მშვენება, დროის ხელით ნასათუთები,
დროის ხელითვე იღუპება და სამარდება.
უსასრულობის გზაზე მიჰქრის დრო უშფოთველი,
ზაფხულის დღეებს ზამთრისაკენ მიერეკება,
ყინვის საფარით იფარება მკვდარი ფოთლები,
ოდესღაც მწვანე ბუჩქნარები იქცნენ ეკლებად.
მაგრამ ზამთარშიც არ მოკვდება ჭრელი ზაფხული,
და ყვავილებიც იცოცხლებენ გამხმარ კონებად,
თუ შეშის კედლებს სურნელი აქვთ შემონახული,
როგორც ზაფხულის გახსენება და მოგონება.
იღუპებიან ზამთრის სუსხით ვარდის ფურცლები,
ვარდის სული კი რჩება მარად გარდაუცვლელი.

6.

სანამ შენს ზაფხულს ზამთრის ცივი ხელი გაგუდავს,
მაგ სილამაზით დაამშვენე თასი საბედო,
სიტურფის განძი მიაბარე სანდო საბუდარს,
მშვენიერებამ თავის მოკვლა რომ ვერ გაბედოს,
ვინ გაგამტყუნებს, სილამაზე რომ არ დანაცრო,
ხარკის გაღებას მშვენებისთვის ვინ არ ეცდება,
შენივ თავისთვის გააჩინე შენი სანაცვლო,
ათჯერ გამრავლდი, სიხარულიც გაათკეცდებო.
ათი სიცოცხლე გაგიჩნდება ამოსარჩევად,
ბედით იქნები ათჯერ უფრო გატაცებული,
მაშინ სიკვდილის წასართმევი არრა დაგრჩება,
თუკი სიცოცხლე შვილს ექნება გადაცემული.
სიკვდილი აღარ მოგადგება თავის სანთლებით,
მემკვიდრეებად არ დაგრჩება მიწის მატლები.

7.

ხედავ მეწამულ განთიადის გასხივოსნებას?
ცამ მოახურა ანთებული რიდე ბუნებას,
მზის ჩირადდანი გულს იტაცებს, როგორც ოცნება,
მიწაც შეჰყურებს უზენაეს დიდებულებას.
როდესაც მნათობს, ცის უმაღლეს წვერზე აყვანილს
შუადღისპირას შეეტყობა დავაჟკაცება,
მოკვდავთა მზერა მაინც მისკენ ილტვის თაყვანით,
მისი რონინი, ღვთაებრივი, გვეოფნის განცდებად.
მაგრამ როდესაც კაბადონი დაიბინდება
და მზე ბებერი ნაპრალებში კვდება წვალებით,
მაშინ არავის აგონდება მისი დიდება
და მზერას უკვე იტაცებენ სხვა მწვერვალები.
მაღე ჩაქრება იმ მზესავით შენი მნათობიც,
რადგან უშვილოდ რჩები შენი უნიათობით.

8.

მუსიკის ხმების გაგონება რატომ განადგვლებს,
როცა თავად ხარ შენ მუსიკის გამომსახველი!
რატომ გაღონებს სიხარული, რაც სულს ანახლებს,
და ასე რატომ გახალისებს მწარე ნაღველი?!
როცა ერთმანეთს შეწყობილი ჟღერენ ჰანგები,
ტკბილხმოვანებით გული რად გაქვს ნაიარევი?
აღბათ ჰანგებში საყვედური გესმის განგების,
ქვეყანაზე რომ ასე კენტად დაიარები.
გესმის?! ნამდვილი ტრფიალია სიმების ხმაში!
ყური დაუგდე შეთანხმებულ ჟღერას სამხმიანს,
თითქოს დედ-მამას აჰყოლია პატარა ვაჟი
და შენს სასმენად ერთ სიმღერას შემოსძახიან.
„ვისაც არა სურს თავის ბედის სხვასთან გაყოფა,
ამ ქვეყანაზე მისი ყოფნა არის არყოფნა“.

9.

გინდა, რომ ქერივი ააშორო ცრემლსა და ნაღველს.
ცხოვრობ უულად, სიმარტოვის სიმძიმე გაწევს,
მაგრამ თუ მოდგმა არ დასტოვე და ისე წახველ,
ერთ ქალს კი არა, მთელ ქვეყანას ჩააცმევ ძაძებს.
დაქერივებული დედამიწა ვერ გადარჩება,
თუკი არავის უანდერძე შენი მშვენება,
ქალის ქერივობას სანუგეშოდ შვილი დარჩება,
პირმშოს შეხედავს და ქმრის სახე მოეჩვენება.
არ იკარგება ქვეყნად ფული, ტრიალებს მხოლოდ,
რაც შენ დახარჯე, იგი სხვისი გახდა ქონება,
სილამაზეს კი, უნაყოფოს, ედება ბოლო,
ნერგი თუ არ აქვს, აღარ რჩება არც მოგონება.
ის ვერასოდეს ვერ იქნება სხვისთვის იმედად,
ვინც დასაღუბად თავის თავიც კი გაიმეტა.

10.

სჯობს აღიარო, რომ არ გიყვარს ქვეყნად არავინ,
თუ დასაღუბად საკუთარი თავიც გასწირე,
ბევრმა გაჩუქა სიყვარული დაუფარავი,
მაგრამ შენ თვითონ ტრფობა არვის გაუნაწილე.
დაგუფლებია ბოროტების გრძნობა საზარი,
თითქოს გახარებს საკუთარი სულის გოდება,
გინდა დალეწო სილამაზის წმინდა ტაძარი,
შენი მარჯვენით განახლებას რომ ელოდება.
მაგრამ გონს მოდი, სიყვარული სამტრო რად არი?
სიძულვილი თუ არ განდევნე, ცოდვას დაიდებ,
დე, სულიც გქონდეს მაგ ლამაზი სახის სადარი
და, სხვა თუ არა, შენი თავი მაინც დაინდე.
ასე თუ წახველ, ჩვენს მომავალს რაღა დარჩება?
შვილი დასტოვე სილამაზის გადასარჩენად.

11.

დრო თუ გვაბერებს, დრო გვიბრუნებს ახალგაზრდობას,
როცა მოხუცი მამის გვერდით შვილი დადგება,
სიყმაწვილეში გაცემული ბოლოს ფასდება
და სიბერეში სიჭაბუკედ გამოგვადგება.
ესაა სიბრძნე წუთისოფლის და სილამაზე,
შთამომავლობის გამრავლებით მიწა მშვენდება,
ყველა შენსავით რომ მოიქცეს ამ ქვეყანაზე,
კაცობრიობა სამოც წელში გადაშენდება.
დაე, დაღუპვას ვინმე გონჯი ვერ გადაურჩეს,
ვინაც არ არის ღირსი, დარჩეს შთამომავალი,
შენ კი ბუნებამ უთვალავი გიძღვნა საუნჯე
და მოდგმისათვის საუკუნე მოგცა მრავალი.
ქვეყნის ბეჭედო, ამ სიბრძნეში ნუ დაეჭვდები
და გაამრავლე ქვეყნად შენი ანაბეჭდები.

12.

როცა საათის ხმა მომესმის, მარად უცვლელი,
და მზეს შევხედავ, მიმწუხრში რომ თავი დახარა,
როცა შევნიშნავ, როგორ დაჭკნენ იის ფურცლები
და თმებში როგორ ჩაქსოვილა ვერცხლის ჭაღარა,
როს ქვითინებენ ხეივნები ფოთოლმოცლილი,
სადაც მეცხვარეს იფარავდნენ ჩრდილები ხეთა,
და როცა ბალახს, შემოდგომის ცელით მოცვლილს,
ზაფხულის ბალახს სასაფლაოს ფორანზე ვხედავ,
მე ჩამაფიქრებს ბედ-იღბალი შენი მშვენების,
დროის უდაბნო კიდევ ბევრჯერ მოსავლელია,
ხენი კვდებიან, როს ჰყვავიან ახალშენები,
როცა სხივები ენძელების მოსვლას ელიან.
ძვირფასო, ჟამის უღმობელი ცელი არ ცხრება,
მაგრამ დასტოვე მოდგმა დროის დასამარცხებლად.

13.

ვაგლას! ამ ქვეყნად საუკუნოდ ვერ დასახლდები,
ამ საწუთროში დასრულდება შენი არსება,
მაგრამ აღსასრულს შეუპოვრად მაშინ დახედები,
თუ შთამომავალს უანდერძე შენი მსგავსება.
მაშინ მშვენება, ზეცისგან რომ სესხად მოგეცა,
კი არ დაჭკნება, ხელმეორედ გაიკვირტება,
სიკვდილის მერეც შენი სული ფრთებს არ მოკეცავს,
და შენი შვილით უკვდავება დაგიმკვიდრდება.
თუ არ მივხედეთ ტაძრებიც ხომ დაიშლებიან,
გადიქცევიან უპატრონო ნასახლარებად.
ვერ გაუძლებენ ზამთრის დღეებს ქარიშხლებიანს,
სიკვდილისა და ბოროტების გასახარებლად.
და თუ სიცოცხლე გინდა გქონდეს დაუშრობელი, –
მამა ხომ გყავდა, შენც იყავი სხვისი მშობელი.

14.

სამყაროს ბედი ვარსკვლავებით ვერ შევიცანი,
და მაინც ვფიქრობ, მეც ვარ ერთი ვარსკვლავთმრიცხველი,
თუმცა ვერ ვიტყვი, მზე გველის თუ კუბოს ფიცარი,
ჭირი გაჩნდება თუ დადგება გვალვა ფიცხელი.
ხვალის ამინდის გამომცნობიც ველარ გავხდები,
არ ვიცი, რისი დღე დადგება, წვიმის თუ სეტყვის,
არ ვიცი, როდის დაემხოება მეფეთ ტახტები,
ვიცი, რომ ზეცა მომავალზე ვერაფერს მეტყვის.
მაგრამ მაგ თვალთა ვარსკვლავების კითხვა მინდება,
ვისწავლე კიდევ შიგ ფარული აზრის გარჩევა:
არ დაშორდება სილამაზე ჭეშმარიტებას,
სიკვდილის შემდეგ თუ სანაცვლოდ მოდგმა დაგრჩება.
თორემ იცოდე, შენი გრძელი დღე დამოკლდება,
ჭეშმარიტებაც სილამაზის გვერდით მოკვდება.

15.

როდესაც ვფიქრობ, ხანმოკლეა სრულყოფილება,
დრო რასაც შექმნის, თვითონ დროვე გააჩანაგებს,
ვინც კი ცხოვრების გამოფენას მოეველინება,
იმის ბედ-იღბალს ვარსკვლავების ძალა განაგებს.
დაბადებიდან ცა დაგეხარის, როგორც მცენარეს,
მესაფლავედაც ჩვენ იგივე ცა გვეგულება,
და სიჭაბუკით სავსე დღეებს, მოუსვენარებს,
ბოლოს ზამთრით და დავიწყებით შეცვლის ბუნება.
შენს ბედზე ვწუხვარ, რადგან ვხედავ უამი აფთრდება,
სურს, სიყმაწვილის საგანძური დაგიზიანოს,
დრო მუხანათი სადმე ღამით ჩაგისაფრდება,
რომ შენი ყრმობის გარიჟრაჟმა ვერ იმზიანოს.
და რადგან ვიცი შენს სიბერეს ვერ გადავიტან,
მე ჩემი ლექსით სიჭაბუკეს გამყნობ თავიდან.

16.

რადგან ვერ უძლებ ამ მუხანათ დროუამთან ჭიდილს,
რადგან მშვენიერებას ემუქრება საფრთხე მარადუამს,
სხვა იარაღით უნდა დაცვა უსუსურ ჩითილს,
თორემ ეს ლექსი არ ივარგებს ნამდვილ დარაჯად.
როცა ცხოვრების მწვერვალზე ხარ ახლა ასული,
მხატვრის ნახატმა ვერ ასახოს შენი მსგავსება,
ნერვს გაგიხარებს სიყვარულით ყველა ასული
და ქვეყნად შექმნის შენს სანაცვლო ცოცხალ არსებას.
შენი სიცოცხლე თუ დაიცვა შენმა მოდგამმა,
მაშინ ეგ სახე სრულყოფილი ძეგლად დაგრჩება.
დროის ფუნჯი და ჩემი ლექსი არ გამოდგება
შენი ნატიფი სილამაზის გადასარჩენად.
სხვა თუ შექმენი, ის გახდება შენი სახატე,
სხვამ რად დაგხატოს, შენი სახე თვითონ დახატე.

16.

როს წაიკითხავს ლექსებს, შენი დიდებით სავსეს,
შთამომავალი მატყუარა პოეტს მიწოდებს,
თუმც ეს სტრიქონი წარწერას ჰგავს საფლავის ქვაზე
და ღირსეულად ვერ გიმღერის, ღმერთმა იცოდეს.
მართლაც რომ ლექსი, შენი ღირსი, დამაწერია,
შენს სადიდებლად რომ მივუშვა რითმის სადავე,
შთამომავლობის მზერა, ვიცი, აღმაცერია,
იტყვიან: „ტყუის, ასე მხოლოდ ღმერთებს ხატავენ“.
როცა ამ ფურცლებს უამი აქცევს პაპირუსებად,
ვიცი, ჩემს ლექსებს ბერიკაცის ჩმახვად ჩათვლიან,
მე მომაწერენ მაგ თვალების გაფირუზებას,
ზღაპრად ჩათვლიან, რაიც მართლა ზეცის მადლია.
მაგრამ თუ შენი ნაშთიერი იცხოვრებს მაშინ,
მასშიც იცოცხლებ და ამ ჩემი რითმების ხმაშიც.

17.

ზაფხულის დილაც ვერ გახდება შენი სადარი,
მისი იერი შენს მშვენებას ვერ ემსგავსება,
მაისის კვირტებს აჩანაგებს ავი ავდარი,
ზაფხული გადის – ხანმოკლეა მისი არსება.
ცის კაბადონზე საზაფხულო მზე რომ მზიანობს,
მასაც ღრუბლებით დაუნდობლად ბურავს ბუნება,
რაა ისეთი ქვეყნად, დრომ ვერ დააზიანოს,
მარად ვის ძალუძს სილამაზის შენარჩუნება?!
მაგრამ ეს სახე არასოდეს დაიბინდება,
შენი ზაფხული არასოდეს არ გათავდება,
თვითონ სიკვდილმაც ვეღარ მოსპოს შენი დიდება,
რადგან, ძვირფასო, ჩემი ლექსი გიდგას თავდებად.
ვიდრე იცოცხლებს ქვეყნად მოდგმა, ღვთისგან შობილი,
მუდამ იქნები ჩემი ლექსით უკვდავყოფილი.

18.

დროვ უღმობელო, ისევ მიწას დაახრევიანე
მისგან შობილთა მომავალი და სიჭაბუკე,
ლომი დაკოდე, ვეფხვს კბილები დაათხრევიანე,
ფენიქსის გულიც მის საკუთარ სისხლში დაბუგე.
ატირე ზეცა, მზე აცინე ათასფერება,
ნება გაქვს მთელი დედამიწა ააქვითინო,
რაც გინდა უყავ წუთისოფლის ბედნიერებას,
ოღონდაც ერთი მძიმე ცოდვა არ ჩაიდინო:
მაგ ბებერ კალმით არ დახაზო სატრფოს მშვენება,
მის სილამაზეს ააცდინე ცელი ბუნების,
ნულარ დაატკნობს აწყვეტილი შენი ჭენება,
მომავალს დარჩეს, ვით ნიმუში დიდებულების.
მაგრამ თუ გინდა, შენი ცვლით ყველა გათიბე,
ეს ჩემი ლექსი გადაარჩენს მის სინატიფეს.

19.

ბანოვანივით მშვენიერი შეგქმნა განგებამ,
ამიტომ ჩემთვის მეფეც ხარ და დედოფალიცა,
ქალივით სათნოვ, ნატიფი ხარ, ვით ქანდაკება,
მაგრამ ქალურად ორგულობის წესებს არ იცავ.
ნათელი მზერით თითქოს ოქროს ზღვაში დასცურავ,
ქალურ სიყალბეს მოკლებულან შენი თვალები,
მამაკაცები შეგხარიან მამაკაცურად,
გონდაკარგული გთავაზობენ გულებს ქალები.
ჯერ ქალად შეგქმნა, შეუყვარდი მერე ბუნებას
და, სამწუხაროდ, მამაკაცად გადაგაქცია,
თვითაც ქალია, ტრფობა როგორ გაემტყუნება,
მაგრამ ქალნი თუ ააშენა, მე დამაქცია.
და თუკი ქალებს უწყალობე, რაც რამ გებადა,
მე გრძნობა მომეც, მათთვის დაგრჩეს დეღვა ვნებათა.

20.

კარგო, იცოდე, იმ მეხოტბე პოეტს არ ვგავარ
ლექსში რომ უყვარს სილამაზის შეფერადება,
მზის სხივს რომ ხმარობს სატრფოს კაბის მოსაქარგავად,
მიჯნურის თვალებს რომ ადარებს ზეცის ნათებას.
მას შენი მზესთან შედარებაც არ ეძნელება,
შენთვის გასწირავს მარგალიტებს დასაგმობადაც,
რითმებს მოგაყრის ხან იებად, ხან ენძელებად,
ცისა და მიწის საგანძურებს გიძღვნის ნობათად.
თავდავიწყებით რომ არ გაქე, იქნებ გეწყინა?
ტრფიალს სიცრუე როგორ ვკადრო, რას ვემართლები?
მშვენიერი ხარ, მაგრამ, ვიცი, ისე ვერ ბრწყინავ,
ვით ცის შანდლებში ანთებული ოქროს სანთლები.
დე, სხვა პოეტმა ააქუხოს ლექსი ფინთიხად,
მე ფასს არ გაღებ, – გასაყიდად როდი მინდიხარ.

22.

სარკის არ მჯერა, არ გაჩნდება თმაში ჭაღარა,
სანამდე შენში სიყმაწვილის თრთიან ფერები,
მაგრამ თუ უამმა ეს სპეტაკი სახე დაღარა,
სიკვდილს შევხვდები შენი ჭკნობით დანაბერები.
შენი მშვენება მინდა დარჩეს, როგორც ზღაპარი,
რა დამაბერებს, ჩემი ტრფობა შენი ხნის არი,
შენს მკერდში ჰპოვა ჩემმა გულმა თავშესაფარი
და შენი გულიც ჩემი მკერდის გახდა ხიზანი.
თავს ნუ დაღუპავ, რომ სიტურფე, მზის საღარები,
გადამირჩინო და უდროოდ არ მისცე მიწას,
მეც შენი გული ხელისგულზე მაქვს ნატარები
და ვუფრთხილდები, ვით პატარას მზრუნველი ძიძა.
შენც დანაცრდები, ჩემი გრძნობა თუ დასამარდა,
გული მაჩუქე, ნაჩუქარი აღარ წამართვა.

23.

ესაა ბედი ახალბედა მსახიობისაც –
მღელვარებისგან თავის როლის გადავიწყება,
განრისხებული, აღშფოთებით დაღლილობისას
ხმას ვერ გაიღებ, სანამ სული არ ჩაგიცხრება.
მეც ასე ვღუმვარ, როცა გიმზერ, ჩემო საუნჯევ,
ვერ მოვახერხე შენთვის ჩემი გრძნობის ჩვენება,
მოზღვავებული სიყვარული ისე მამუნჯებს,
რომ სიყვარული, ალბათ, არც კი დამეჯერება.
დე, ლექსმა გითხრას, რომ ტრფიალის ცეცხლი მედება,
მუნჯმა სიტყვებმა, უკვე ჩემგან გამიჯნულებმა,
თუ სიყვარულით დამილოცავ შემოქმედებას,
ის მოგიყვება ჩემი სულის გამიჯნურებას.
თუკი ისწავლი ჩემი მუნჯი სიტყვის წაკითხვას,
მაშინ თვალებით გაიგონებ, სატრფომ რაც გითხრა.

24.

მხატვრებად იქცნენ ეს თვალები, გნახეს ასული
და მკერდში ფუნჯით ჩამახატეს შენი სურათი.
ჩემი სხეულის ჩარჩოში ხარ ახლა ჩასმული
და შიგ დარჩები თვით სიცოცხლის დასასრულამდე.
მხატვარს შემხედე, მე ვარ შენი გამომკვეთელი,
დღეს ჩემი მკერდის სახელოსნოს ეგ სახე შეენის,
გულში დაგუთმე შენს სახებას მთელი კედელი
და მკერდს სარკმლებად დაუყოღვე თვალები შენი,
ჩვენი თვალები ერთმანეთის ვალში არ რჩება,
ჩემმა თვალებმა შენ დაგხატეს ათასფერებად,
შენი თვალები გამომადგა მკერდის ფანჯრებად.
შიგ მზეც შემოდის შენი სახის მოსაფერებლად.
თვალებმა მაინც სამსახური ვერ გამიწია,
სახეს ხატავენ, გულისა კი არა იციან.

25.

ვინაც ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული,
დე, ახარებდეს დიდკაცობის დიდი წოდება,
თუმც არაფერი ქვეყნად არ მაქვს საბადებელი,
მე სიხარულში მაინც ვერვინ გამიტოლდება.
ტახტის მონა და მოყვარული ლხენით ინთება,
თუ მოახერხა მეფის გულში დასადგურება,
მაგრამ ასევე მალე კვდება მისი დიდება,
ერთი მრისხანე გამოხედვით განადგურდება.
სახელგანთქმული და ცნობილი მხედართმთავარი,
თუკი ოდესმე მოესწრება ბრძოლის წაგებას,
ვინ გაიხსენოს მისი დაშნის ძველი ჯაგარი,
ვინ ააცილოს დამარცხებულს ლანძღვა-ძაგება.
მე კი წოდებას ვინ წამართმევს კუბოს კარამდის,
მიჯნური მყავს და მიჯნური ვარ აწ და მარადის.

26.

ჩემო მეუფევე, ვიდრემდისაც სული შემრჩება,
მე, ქედმოსრილი, შენი მონის უღელს ვატარებ
და ახლა შენთან ამ სტრიქონებს ვგზავნი ელჩებად,
სიყვარულს ვატან, ნიჭი ველარ გამოვატანე.
თუმცაღა ვიცი, ეს ლექსები, ფეხშიშველები,
ვერას იტყვიან შენს საკადრისს შენთან წამოსვლით,
მაგრამ მე მჯერა, რომ უბადრუკს წამეშველები
და გონებაში შემიმოსავ ელჩებს სამოსით.
თუკი ოდესმე ბედის ვარსკვლავს მოვაგონდები,
თუკი შენს უღირსს გამითენდა დილა კეთილი,
ჩემი ლექსები აღარ მოვლენ შენთან გოდებით,
აღარ იქნება ტრფობა სამოსჩამოფლეთილი.
ჩემს სიყვარულზე შემოძახილს მაშინ გავბედავ,
ჯერ კი ჩუმად ვარ, სანამ ბედი მიჩანს ავბედად.

27.

როცა დაღლილი ჩემს სასთუმალს თავს შევაფარებ,
როცა სხეული, დაქანცული, მისახედია,
გონება ჩემი მაინც შენზე ფიქრს შემაპარებს
და სანეტარო ოცნებაში ვიწყებ ხეტიალს.
ჩემი ფიქრები ამ წანწალით ველარ დაღლილან,
შენსკენ მოდიან მომლოცველად, როგორც მწირები,
თვალგახელილი ბნელეთს ვხედავ, ბრმათა სახილავს,
შენზე ვკაეშნობ, ყოველდამე შენ გეწირები.
რადგან გონებას შენზე ფიქრი არა სწყინდება,
შენი აჩრდილი მოადგება უცებ სასთუმალს,
მოადგება და აღმასივით გამობრწყინდება
და ბნელი ღამეც გაიღიმებს ახალგაზრდულად.
დღისით დაქანცულს ღამე მწამლავს ფიქრების შხამით,
არ მიწერია მოსვენება დღისით და ღამით.

27.

აღბათ, დაღლილი ვედარაფრით ვერ მოვისვენებ,
არ მეღირსება დამშვიდება, აღბათ, აროდეს,
ღღე – შრომით მქანცავს, ღამე – თვალებს ცრემლით მისველებს,
მარად ტანჯული სული ჩემი როსდა ხარობდეს.
ღღესა და ღამეს ერთმანეთის მტრობა აღარ აქვთ,
ჩემს საწამებლად გადაიქცნენ ძმადნაფიცებად,
დღისით და მზისით – მძიმე ჯაფამ გული დაღარა,
ღამის წყვდიადში – უშენობით სული იცლება.
რადგან ღღე-ღამეს ჩემი ტანჯვა აღარ მოსწყინდა,
ღღეს ვეუბნები, რომ შენა გგავს ზეცის ფერია,
ღამეს ვარწმუნებ, როცა მინდა მისი მოსყიდვა,
რომ ვარსკვლავებსაც ჩემი სატრფოს თვალთა ფერი აქვთ.
ღღე კვლავ მაწამებს, ჩემსკენ ვედარ გადმოვიბირე,
და მწუხრი ისევ მწუხარებით ტანჯვას მიპირებს.

28.

როცა მღალატობს საწუთრო და ბედი მზაკვარი,
როცა დავტირი განდგეილი ამ სიმარტოვეს,
როცა ვხედავ, რომ აირია ჩემი გზა-კვალი,
ცას შევჩივი, რომ ვარსკვლავებმა ასე დამტოვეს,
იმედით სავსე ადამიანს შურით შევეყურებ,
გული მწყდება, რომ უმეგობროდ ვარ გაძარცული,
ხელოვნებაში ვეხარბები სხვის ნაფეხურებს,
ზოგის აწმყო მაქვს სანატრელი, ზოგის წარსული,
მაშინ, ძვირფასო, შენი სახე მომაგონდება
და, გაღალღებულს, უბადრუკი ფიქრის შემრცხვება,
საგალობლად გადიქცევა ჩემი გოდება.
და ოცნებები ფრთას გაშლიან ცაში მერცხლებად.
ასე ფიქრებში შენი სახე თუ შემეფეთა,
რა ბედენაა მაშინ ჩემთვის განძი მეფეთა.

29.

ფიქრთა სამსჯავრო როს მოუხმობს დღეებს გარდასულს,
ყმაწვილკაცობა დაკარგული მომაგონდება,
ვიგონებ წუთებს, განუქარველ დარდით დაღდასმულს,
და ჩემთვის ძვირფასს აჩრდილებზე ვიწყებ გოდებას.
თვალნი დამშრალნი ივსებიან ცრემლით მღუღარით,
მეგობრებს ჩემსას რომ ახურავთ კუბოს ფიცარი,
მიწაზე დავრჩი, სიყვარულის ფიქრით მწუხარი,
მიწამ წაიღო სახელები დასაფიცარი.
და მეც ნადველი გარდასული ისევ მანადველებს.
ძველი დარდებით დაკოდილი რამ დამამშვიდოს?!
სულის ჭრილობებს, მოშუშებულს, ისევ ვანახლებ,
საფლავს წასუღნი კვლავ გამიხდნენ საპანაშვიდო.
მაგრამ როდესაც გულმოკლული შენს სახეს ვხედავ,
ვეღარ კაეშნობს კაეშანი გარდასულ დღეთა.

30.

შენი მკერდიდან მესმის სხვათა გულების ფეთქვაც,
მე შენში ვხედავ ჩემს წინანდელ მიჯნურთა სახეს,
შესანდობარი მეგობართა მინდოდა მეთქვა,
მაგრამ წარსულნი შენში მკვდრეთით აღმდგარნი ვნახე.
სამგლოვიარო ცრემლი ღვარად დამიქცევია,
მეგონა მათი საფლავები ხავსმა დაფარა,
მაგრამ ცხედრები სიკვდილს ისევ გამოჰქცევიან
და შენი მკერდი დახვედრია თავშესაფარად.
დღეს ჩემს მიჯნურთა სასაფლაო მხოლოდ შენა ხარ.
შენშია ჩემთვის მათი ხსოვნა და მოგონება,
რაც მე წამართვეს, თურმე შენთვის შემოენახათ,
შენ ჩაგაბარეს გაძარცული ჩემი ქონება.
ყველა შენშია, ვინც ოდესმე ვრაცხე მშვენივრად
და მეც – იმათი საკუთრება, მხოლოდ შენი ვარ.

31.

როცა ვიქნები საუკუნო ძილით მძინარი,
სიკვდილის ფერფლი დააყუჩებს სულის გოდებას,
მერე თუ შეგხვდა ჩემი ლექსი ნაცოდვილარი,
შენი მიჯნურის სტრიქონები მოგაგონდება.
მათ შეადარებ, რასაც შექმნის ახალგაზრდობა,
მიხედები მაშინ – არც კი ღირდა შესადარებლად,
მაგრამ, ძვირფასო, ჩემი ლექსი იმით ფასდება,
რომ მარადიულ სიყვარულის ცეცხლს ატარებდა.
იფიქრე, რომ არ ჩამქრალიყო ჩემი ცხოვრება,
რომ არ გაესწრო აწყვეტილი დროის ჭენებას,
ჩემი ლექსები იქცეოდნენ წინამძღოლებად,
ახალ სტრიქონებს ანთებდა შენი მშვენება.
მაგრამ გახსოვდეს, სიცოცხლისგან ვარ გამიჯნული,
ახლებში რითმა დააფასე, ჩემში – მიჯნური.

32.

ათასი ლურჯი რიჟრაჟი მაქვს მოსაგონები,
მთის მწვერვალები – ზეცისაკენ ატყორცნილები,
მნათობის ოქროს ბაგეები – ველს ნაკონები,
და წყაროები – მზის სხივებით დაკოცნილები,
მაგრამ ხანდახან იბურება ზეცის ტატნობი,
შავი ღრუბელი ეხურება ციურ მშვენებას,
მაშინ ცოდვიან დედამიწას სტოვებს მნათობი
და დარცხვენილი დასავლეთში ჩაესვენება.
ერთხელ, ცისკარზე ჩემმა მზემაც გამოაშუქა
და გულდაკოდილს გამიბრწყინა შუბლი მეფურად,
მაგრამ დიდება ბედისწერამ წამით მახუქა,
ჩემი მნათობი ლეგა ნისლმა ისევ შებურა.
უსხივოდ დავრჩი, არ ვუჩივი მაინც ბუნებას,
მიწის მზე რაა, თუკი ზეცის მზეც იბურება.

34.

რადგან შევიტყვე, რომ მზიანი დარი გვეწვია,
უმოსასხამოდ გამოველ და გავყევე გზა-შარას,
მაგრამ ღრუბელი ქარწვიმებით წამომეწია
და შენი სახეც, მშვენიერი, ნისლმა წაშალა.
თუმცა ბურუსში შენმა სხივმა გამოიარა,
შემიშრო სახე, დაკოდილი წვიმის ღარებით,
რა მაღამოა, რაიც მხოლოდ არჩენს იარას,
მაგრამ ტკივილს ვერ გაიყუჩებ მისი ხმარებით?!
რას მარგებს ახლა, თუკი გული შენც გეკოდება,
მონანიება შენი შეებას ვით შეგადარო?!
რა ბედენაა მუხანათის მწარე გოდება,
მისი ნახმლევი თუ ჯვარივით უნდა ვატარო?!
მაგრამ, დაღვრილი მარგალიტად, ცრემლი ნეტარი,
არის განწმენდა ყველა ავი ნამოქმედარის.

35.

კარგო, ნუ ნადვლობ, შენი ცოდვა ნუ შეგაწუხებს,
ვარდს ეკალი აქვს, ჩქერებს ქვები გამოჰყვებიან,
მზე და მთოვარე შეუბოჭავთ ღრუბლის მარწუხებს
და ხეთა კვირტებს ჭიალუა დამოყვრებია.
არავინ იცის უცოდველი ქვეყნად არსება;
ესეც ცოდვაა, მოღალატე რომ მეცოდები,
ლექსით რომ ვცდილობ შენი ქცევის შელამაზებას,
ცოდვად რომ ვიდე გამართლება შენი ცოდვების.
მე, ბრალმდებელი, შენს დამცველად გადამაქციე,
მამართლებინებ ავხორცობას – ჩადენილს გუშინ,
როს სამსჯავროზე მე ვამტყუნებ ჩემივ საქციელს,
ამ დროს ტრფობა და სიძულვილი იბრძვიან გულში
ცოდვას რომ ვიდე, დასანდობი, ალბათ არცა ვარ.
ყაჩაღს ვემხრობი, ვინც დამეცა გასაძარცვადად.

36.

დროა დაეშორდეთ, გვეყო ერთად რაც კი ვიარეთ!
ფიქრით კი გულში სამუდამოდ ჩაგისახლდები,
ჩემი ცოდვები შენ თუ აღარ გაგიზიარე,
ჩემი სირცხვილის მონაწილე აღარ გახდები.
ერთი გრძნობა გვაქვს ჩვენ ორივეს ნასათუთები,
მაგრამ ორივეს საკუთარი დაგვაქვს ვარამიც,
ჩვენ იგივე ვართ, მაგრამ ტრფობის წმინდა წუთები
ჟამთა სიავეს არ დარჩება მოუპარავი.
დღეიდან შენი შეხვედრისას ვეღარ ვილაღებ,
ვეღარ გავბედავ შენთვის ხელის გამოწოდებას,
შენც უცნობივით ჩამიარე, თუ დამინახე,
სახელი რომ არ შეგიბღალოს ჩემმა ცოდვებმა.
ეს მსხვერპლი იყოს ჩემი გრძნობის გამომსახველი,
შენც ჩემი ხარ და ჩემი არის შენი სახელიც.

37.

როგორც ალაღებს მოხუც მამას შვილის მარდობა,
ღირსებით სავსე მისი ყრმობის დღენი მჩქეფარე,
მეც არად ვიჩნევ ბედისწერის უკუღმართობას,
რადგან ნუგეშად შენს დიდებას ამოვეფარე.
შენი ნიჭი თუ გვაროვნება, მშვენება შენი,
ან თანშობილი სხვა სიკეთე თუ რამ გქონია,
ყოველი მადლი ბუნებისა გვირგვინად გშვენის,
და მეც ეგ შენი ღირსებები ჩემი მგონია.
მაშ გლახაკივით ქვეყნად რატომ მიმოვეხეტო,
თუ კი შენს ჩრდილში ეს გვემული სული მშვიდდება,
ხომ შემიძლია შენს სიმდიდრეს ჩემად შევხედო,
თუ მაგ დიდების ნარჩენებიც მყოფნის დიდებად.
თუკი განგება შენთვის მეტის მოძღვნას ეცდება,
ბედნიერება ჩემი მაშინ გაათკეცდება.

38.

ნუთუ ჩემს მუზას შთაგონებად სხვა რამ ენება,
როდესაც ლექსი სუნთქავს შენი სათნო სახებით,
თუმც რა სინდისით შეგურაცხვეო შენი მშვენება,
უხეშ ქალაღდზე თვითნებური გადმოსახლებით?
შენს თავს უმადლე, თუ მეღირსა შენი წყალობა,
თუ ჩემი ლექსი შენი ქების ღირსად ჩავთვალე
აღბათ მუნჯებიც ახერხებენ შენზე გალობას,
რადგან შენა ხარ შთაგონების წმინდა სათავე.
მელექსეთათვის დღეს მეათე მუზა შენა ხარ,
წინანდელ მუზებს აღარავინ აღარ იგონებს,
საუკუნეთა ქარტეხილი ველარ შელახავს
შენი მშვენების სადიდებლად ნაწერ სტრიქონებს.
საუკუნეებს ჩემი ლექსი როცა გასცდება,
შენ იღიადებ, მე კი შრომა დამიფასდება.

39.

შენი ღირსების ქებათ—ქება გამიჭირდება,
რადგანაც ჩემი ნაწილი ხარ განუყოფელი,
რაში მჭირდება საკუთარი სულის დიდება,
თავი რად ვიქო მთელი ჩემი წუთისოფელი.
ამიტომ მინდა გავიყაროთ, გავხდეთ უბრები,
მინდა შორიდან დავინახო შენი მშვენება,
შენს ღირსებაზე მთელს ქვეყანას ვესაუბრები,
შენი სიშორე შენს ქებაში შემეშველება.
ამ განშორებით გულმოკლული მე არ ვიქნები,
ეს სიმარტოვე სატანჯველად მე არ მექცევა,
მე უშენობას შემივსებენ შენზე ფიქრები,
ვიცი, შევიძლებ ოცნებებით თავის შექცევას.
განშორებისთვის საყვედური მაინც არ მითხრა,
მე უკეთ ვუმდერ შენს მშვენებას, როცა გაღმით ხარ.

40.

ერთად წამართვი ყველა გრძნობა, თუკი გწადია,
ამითი მაინც არაფერი შეგემატება,
წაურთმეველადაც შენი არის, რაც მახადია,
რადგან მთლიანად შენ გეკუთვნი, ჩემო ხატება.
თუ სიყვარულმა გიკარნახა ჩემი გაძარცვა,
მადლობას გეტყვი, სულში ასე რომ ითარეშე,
მაგრამ, ვაითუ თავს იტყუებ ტრფობის ტაძართან
და გულს მიქურდავ ჭეშმარიტი გრძნობის გარეშე.
შენდობას გეტყვი, მშვენიერო ჩემო მძარცველო,
სულთ დარიბი ბოლომდე რომ გამადატაკო,
მაგრამ მე მიჯობს გულახდილმა ზიზღმა გამცელოს,
ვიდრე მიჯნურის უსამართლო წყენამ დამდაგოს.
მოხიბლული ვარ და სიავეც აღარ მაძრწუნებს,
კიდევ რომ მომკლა, შენს მტრობაში ვერ დამარწმუნებ.

41.

შენი ცოდვები, თავგასული შენი ანცობა,
როცა დროდადრო ჩემთვის გრძნობას ვეღარ იმეტებ,
ეპატიება შენს მშვენიერ ყმაწვილკაცობას,
ყოველდღიური ცოუნებებით სავსე იმედებს.
გეტრფიან, რადგან კარგი ხარ და კეთილშობილი,
მოგერიება შემოტევის გიმძიმთ ღამაზებს,
ვიცი ვერ შეძლებ უარის თქმას ქალის შობილი,
თუ თვითონ ქალი საკუთარ თავს შემოგთავაზებს.
ვაგლახ, შენ ჩემი სამფლობელოც აღარ დაინდე,
ვეღარ ალაგმე უინი შენი ყმაწვილკაცური,
ისე გაღალდი, ჩემს მიმართაც ვერ ირაინდე
და ასე გატყდა ორი ფიცი, დღემდე დაცული:
მან მიღალატა, ვისაც სატრფოდ ვთვლიდი ამდენ ხანს,
და შენც ვერ ასცდი სამეგობრო ფიცის გატეხას.

42.

ის რომ შენია, ეს მე ახლა ნაკლებ მაღონებს,
თუმც გაგიტყდები, მისი ტრფობა მწვავედა თავიდან,
შენ რომ მისი ხარ, ეს ვარაში მაცლის ძალ-ღონეს,
რადგანაც ვიცი, უშენობას ვერ გადავიტან.
მაგრამ ორივეს გამართლებას მაინც მოვნახავ:
ის შეიყვარე, რადგან იცი, მეც ის მიყვარდა,
მან შეგიყვარა რადგან ჩემი გრძნობის მონა ხარ,
და მანაც ტრფობა ორგულობით გადამიხადა.
მე თუ დაგკარგე, შენ ხომ ჩემმა სატრფომ მოგძებნა,
ის თუ დაგკარგე, ამითი ხომ სატრფო შეგძინე
და, რადგან გახდით ერთმანეთის გულის ოცნება,
მიჯნურობაში უკვე არც ერთს არ შეგეცდილეთ.
მაგრამ მე დაშენ ხომ ერთი ვართ, არ გავყოფილვართ,
მაშ, მისი სატრფო, მეგობარო, კვლავ მე ვყოფილვარ.

43.

როს თვალებს ვხუჭავ, თვალხილული ვხდები მაშინვე,
დღისით ვბრმავდები, როცა ვუცქერ ამ საუკუნეს,
დაძინებისას შუადამე აღარ მაშინებს, –
შენ მეზმანები და ეგ შუქი ფანტავს უკუნეთს.
ბნელსაც ანათებს შენი ლანდის გამოცხადება,
დამის აჩრდილნიც შენს სხივებში ჩანან მზესავით,
დღისით კი, ალბათ, მზესაც ჯაბნის შენი ხატება,
ამ მიძინებულ თვალთათვისაც შუქის მთესავი.
გავიღვიძებ და უსინათლოს დამაქვს ოცნება, –
დღის სინათლეზე დავინახო შენი დიდება,
ბნელს რომ ანათებს შენი ლანდის გასხივოსნება,
შენი მშვენების აჩრდილიც რომ არ იბინდება.
დღე მიბნელდება, თუ ვერ გნახე სადიადებლად.
და ღამეები გადამექცნენ განთიადებად.

44.

ერთხელ ფიქრად რომ გადაიქცეს ჩემი სხეული,
ვერ დაგვაშორებს ჩვენ ერთმანეთს ზღვა თუ ტრამალი,
ვერ მომქანცავენ გზები გზებზე გადახვეული
და უცხო მხარეს უმაღლ შენთან მოვალ ფრთამალი.
ფიქრი რომ ვიყო, სულ ერთია სადაც ვიქნები,
თუ გინდა შენს თავს მაშორებდნენ მთა და მინდვრები,
ზღვასა და ხმელეთს არ უფრთხიან ღალი ფიქრები,
გაფიქრება და – სადაც გინდა გადაფრინდება.
ერთი დარდი მკლავს – ვიცი, ფიქრს ვერ დავემსგავსები,
შორით წასულო, ფრთები შენთან ვეღარ გამაჩენს,
წყლისა და მიწის ნაერთი ვარ ჩემი არსებით
და მოვალე ვარ დავმორჩილდე დროის განაჩენს.
რადგან მიწა ვარ, ცად ვერ ავალ, სევდით დაღლილი,
რადგან წყალი ვარ, წყლად დავრჩები, ცრემლად დაღვრილი.

45.

ჰაერი წმინდა, ცეცხლი წმინდა, – ორი კავშირი
გამომიგზავნე, ვით მუდმივი ორი მსახური.
შენ შემოგწირე სანახევროდ სული დაშლილი:
ჰაერი ფიქრად, ცეცხლი ვნებად გარდასახული.
როცა ორივეს შენ გიგზავნი ტრფიალის ელჩად,
ვგრძნობ, ჩემი სულის ნახევარი როგორ მომაკლდა,
სიცოცხლის ოთხი კავშირიდან ორიღა შემრჩა
და გაძარცული დავემსგავსე ნამდვილ მომაკვდავს.
ასე მგონია ბედი შავად გამმრუდებია,
თქვენც, დარჩენილო იმედებო, ჩანხართ ობლებად,
მაგრამ ელჩები შორეთიდან კვლავ ბრუნდებიან,
ჩემი მიჯნურის კარგად ყოფნის მახარობლებად.
ვლადობ, დაბრუნდნენ, აღასრულეს თავის მიზანი,
მაგრამ, ვაგლახ, რომ ხვალ ორივეს გამოგიგზავნი.

46.

ჩემს გულს და თვალებს ერთმანეთში დიდი ომი აქვთ,
მეტოქეებმა ვერ შეიძლეს შენი გაყოფა,
ჩემმა თვალებმა რომ გიმზირონ – გულს არ სდომია,
გულს კი თვალები უკრძალავენ შენთან ლაღობას.
გულმა ისურვა შენი სრული დასაკუთრება,
რამეთუ გულის ცხრაკლიტულში ხარ ჩაკეტილი,
თვალნი თვალს თვლიან მაგ მშვენების ნავსაყუდრებად,
რადგან თვალებში ჩანს ეგ სახე გამოკვეთილი.
ამ სამსჯავროზე მოსამართლედ დადგა გონება
და მოდავენი უკვე დავით აღარ სცოდავენ,
შენი მშვენება განაწილდა, როგორც ქონება,
და მესაკუთრედ აღიარეს ორივე მოდავე:
ჩემს თვალებს ერგო ეგ თვალები მარად მნათები,
გულს საკუთრებად დარჩა შენი გულისნადები.

47.

ჩემს გულს და თვალებს ერთმანეთში აღარ აქვთ მტრობა,
დამეგობრდნენ და ძველი შუღლი არ აგონდებათ,
ხან თვალებს უნდათ მაგ უებრო მშვენებით თრობა,
ხან გული იწყებს უშენობით ოხვრა-გოდებას,
და თუკი თვალებს წარმოუდგა შენი ხატება,
გულიც ესწრება ამ სანატრელ წუთებს მზიანებს,
თუ სიყვარულით თვითონ გული გელაღდება,
ამ ნეტარებას გული თვალებს გაუზიარებს.
ხან თვალთ გიმზერ, ხან კი გულით: რატომ გეძიო,
გინდ შორს წახვიდე, მაინც ჩემთან რჩები მარადჯამს;
საით გამასწრებ, რომ ოცნებით ვერ დაგეწიო,
ჩემი ოცნება ხომ მარადის გიდგას დარაჯად.
როცა ვიძინებ, შენი სახე თვალთ მეხატება,
გულსაც აღვიძებს ღამით შენი გამოცხადება.

48.

როცა შორს მივალ, საგანძურის მალვას ვუნდები,
მშვიდად ვიქნები, რადგან განძი სკივრში იდება.
მიყვარს, როდესაც მოგზაური შინ დავბრუნდები
და ხელუხლებლად მხვდება ჩემი ავლადიდება.
მაგრამ ძვირფასო, როგორ შევძლო შენი შენახვა?!
თუმც მირჩენიხარ უძვირფასეს თვალ-მარგალიტებს,
ჩემი ლხენა ხარ, ჩემი დარდიც ახლა შენა ხარ,
გტოვებ და ვიცი, ავაზაკებს ვერ აგარიდებ.
შენს დასამალად თავშესაფარს დიდხანს ვეძებდი,
მკერდში დაგმალე, სანდო სკივრად სხვა რა ვინატრო,
შიგ ხან ნებივრობ, ხან წახვალ და გადიხვეწები,
ან იქნებ ვცდები და ჩემს გულში არც კი ბინადრობ.
მოგიპარავენ, მე ხომ ვიცი ქვეყნად რა ხდება,
შენ თუ გიხილა, ანგელოსიც ქურდი გახდება.

49.

იმ დროისათვის, – თუ ოდესმე შევესწარ იმ დროს,
თუ ჩემი ნაკლი შესამჩნევი გახდა შენთვისაც,
თუ შენი გრძნობაც მიღალატებს და გულიც მიმტრობს,
ტრფობის აღსასრულს ეგ გონებაც თუ შეეთვისა.
იმ დროისათვის, თუ ოდესმე ჩამივლი ცერად,
თუ დღევანდელი სიყვარული იქცა მზაკვრობად,
თუ გულცივობით შეგეცვალა მზიური მზერა,
თუ გამართლებაც მოუნახე გრძნობის გაქრობას,
იმ დროისათვის დღესვე ვსწავლობ ტანჯვის ატანას,
და რადგან ვიცი ფასი ჩემი ზნის და უნარის,
მზად ვარ საკუთარ განაჩენის გამოსატანად,
რომ ხალხის თვალში შენ არ დარჩე გასამტყუნარი.
შენი ღალატი არ დამრჩება ალბათ იარად,
რადგან მე ტრფობის ღირსი არა მბაღია რა!

50.

რა უმოწყალოდ გამწყრომია ბუნების მადლი,
სხეული ჩემი დაუქანცავს გზასაც სრულიად,
შენს თავს მაშორებს დაძლეული ყოველი ადლი
და ვიცი ეს დღე ხეტიალის დასასრულია.
ჩემი ცხენიც ხომ მერანია, როცა მსნედ არი,
ახლა კი უმძიმს ჩემი სევდის ამოდ ტარება,
იცის აღარსად მიიჩქარის მისი მხედარი,
რადგან უშენოდ არ არსებობს გამოდარება.
ცხენს არ აღეღვებს, როცა რისხვის ნაპერწკლებს ვკვესავ,
ხმასაც არ იღებს, ფერდში დეზი თუ არ ესობა,
და როს, უამიჟამ, აღმოხდება მწუხარე კვნესა,
ჩემს დაჭრილ სულსაც დაეტყობა უარესობა,
რადგანაც ვიცი, რას მაუწყებს პირუტყვი ამ ხმით:
„წინ ნაღველი და სიბნელეა, მზე დარჩა გაღმით“.

51.

თუმც მინანქლებს ჩემი ცხენი, არ ვსაყვედურობ,
აღარ სჭირდება ჩემს ბედაურს ფრთებად ქარები,
იცის არსაით მივიჩქარი საუბედუროდ.

შენგან მივდივარ, შენსკენ ხომ არ მოვეჩქარები?!

დაბრუნებისას მომინდება ლაღი ჭენება,

აღბათ, ვინატრებ ქარიშხალმა რომ დაუბეროს,

მაშინ შურდულიც, აღბათ, ზანტად მომეჩვენება

და მომინდება ცეცხლოვანი რაში უბელო.

თუმცა ჩემს სურვილს ვერ გაასწროს თვითონ პეგასმა,

ჩემი სურვილი, ვიცი, გზაში არ დამაყოვნებს,

თუკი სიყვარულს უფრთამაღეს რაშად შეგკაზმავ,

მე ჩემი ცხენის ჯალაგობაც არ დამაღონებს.

თუ ფეხს იორეგდა, როს ვტოვებდი ძვირფას მეგობარს,

ახლაც იაროს, მე ტრფიალის ფრთებიც მეყოფა.

52.

იმ მდიდარს ვგავარ, საგანძურს რომ თავზე აკვდება,

თანაც ყოველ ეამს შეუძლია სკივრის გაღება,

მაგრამ სიხშირით ნეტარება რადგან ბლაგვდება,

თავს იკავებს და თავდაჭერა ეამაყება.

დღესასწაულიც გვხიბლავს თავის იშვიათობით

და ამიტომაც მობეზრება აღარ უქადის,

არც გულქანდაში აასხამენ აღმასს ათობით,

რომ ამ სიხშირით არ დაკარგონ ეშხი გულქანდის.

ჩვენ რომ გვაშორებს დრო, იმ მდიდრის სკივრს ედარება,

ამიტომ, ვიცი, არასოდეს არ მომწყინდება,

და არ არსებობს უმაღლესი სხვა ნეტარება,

როცა უეცრად შენ ჩემს თვალწინ ამობრწყინდება.

ჩემდენ სიხარულს ქვეყანაზე ნეტავ ვინ იტანს: –

შენთან ყოფნითაც ვნეტარებ და მოლოდინითაც.

53.

ნეტავ ვიცოდე, რისგანა ხარ ნაქანდაკარი,
ძეხორციელს ხომ მხოლოდ ერთი ჩრდილი დაყვება?
არავის ახსოვს საოცრება, ალბათ, ამგვარი –
შენ რომ უთვალავ ჩრდილად დაგდევს შენი სახება.
შენი მნახველის მზერას აღარ ელამუნება
დღეს აღონისის წმინდა სახე, მხატვრის ნათალი,
თითქოს ელენეს დააფრქვია მადლი ბუნებამ,
მაგრამ შენა ხარ ელინური მისი ბადალი.
გაზაფხულზე რომ ვერ შორდება თვალი განთიადს,
შემოდგომაზე რომ გვიტაცებს უხვი ბარაქა,
ეს ყველაფერი შენი სახის მკრთალი ლანდია,
თვითონ მშვენებაც შენს სიტურფეს მაინც არა ჰგავს.
შენ გარეგნობას მოსახელე ბევრი ჰყოლია,
შენი გული კი, ჯერ არავის გამოჰყოლია.

54.

მშვენიერება კიდევ უფრო მშვენიერდება,
ჭეშმარიტება თუკი ამკობს ძვირფას ვარაყად,
ყვავილთა შორის ღირსეულად ვარდი ბერდება,
რადგან ლამაზმანს სურნელშიაც ტოლი არა ჰყავს.
ასკილის ბუჩქი ანთებული რად არ მიზიდავს,
ქვეყნად ხომ მისი უმნობაც არავის უთქვამს,
ვარდს ემსგავსება ეკლითაც და სიყირმიზითაც,
როდესაც კვირტებს დაუხეთქავს ზაფხულის სუნთქვა.
ასკილი მართლაც გარეგნული ფერებით ბევრს სჯობს
და იერთაც ხომ წააგავს ვარდის სახებას,
მაგრამ ის კვდება და სიკვდილით სიცოცხლეს ვერ შობს,
მკვდარი ვარდი კი სურნელებად გარდისახება!
სატროფოც დაჭკნება, დღეს რომ ასე ვხედავ მოხდენილს,
მაგრამ ჩემს ლექსში მისი სული მზედ აღმოხდების!

55.

როცა მეფეთა აკლდამებიც წარიხოცება,
ვერ აღუდგება ლექსის ძალას დრო და განგება,
ჩემს სტრიქონებში იკიაფებ, როგორც ოცნება,
ოდეს დრო-ჟამის ხავსით ქვებიც დაიჟანგება.
ქანდაკებებსაც გადაბუგავს ომის სახმილი,
გაცამტვერდება ხუროთმოძღვრის ნამოღვაწარიც,
შენ კი, ვერაფერს ვერ დაგაკლებს მარსის მახვილი,
შენ შეგიფარებს პოეზიის დიდი ტაძარი.
თვითონ სიკვდილმა ვერ შეწყვიტოს შენი ცხოვრება,
ვერ მოგერიოს სიძულვილით ბედი მსახვრელი,
შენი სახელი კაცთა მოდგმას ემახსოვრება,
განკითხვის დღემდე იდიადებს შენი სახელი.
დღე უზენაეს განკითხვისა სანამ დადგება,
შენ საცხოვრისად ჩემი ლექსი გამოგადგება.

56.

განახლდი ტრფობავ! სად დაკარგე სული მაღალი,
ნუთუ შიმშილი შენზე უფრო გახდა დიადი,
ნუთუ სიყვარულს ვერ აღზევებს ძალა ახალი,
თუკი შიმშილსაც ხვალ თავიდან უნდა ხშიადი.
მიძინებულო სიყვარულო, უნდა განახლდე!
არ მოაჩლუნგო შენი ძალა გასაკვირელი,
შენი თვალები სადღეისოდ თუმცა დანაყრდნენ,
მიჯნურის ხილვა ხვალაც იყოს შენთვის პირველი.
ვით ნაპირები, ოკეანით გამიჯნულები,
განშორებათა ყველა წამი ზღვას ედარება.
თუმცა ერთმანეთს დააშორა მან მიჯნურები,
მათ ხვალინდელი შეხვედრების სწამთ ნეტარება.
როცა ზამთარი ბაღებს მოსრავს, გაშლილს ედემად,
ზაფხულის მოსვლას უფრო მეტი ფასი ედება.

57.

მონა ვარ შენი. მორჩილებაც მონური მმართვეს,
მმართვეს ლოდინი, რომ ვიხილო შენი სახება,
შენს კართან მდგომი, საქმეს ჩემსას, თავს ვეღარ ვართმევ,
რადგან ყოველ წამს ველი შენგან გამოძახებას.
თუკი არ მიხმობ, საყვედური არ წამომცდება,
თუმც უშენობას მირჩევნია უსინათლობა,
არ დაგამადლი, არც მოლოდინს, არცა მოცდენას,
და თუ დამითხოვ, მაშინაც კი გეტყვი მადლობას.
ექვნიანობის აფეთქებას გულშივე ვიქრობ,
თუმცა ვინ იცის ეგ ლაღობა გაწევს ცოდვებად,
მწუხარე მონა, შენს ლოდინში მხოლოდ ერთს ვფიქრობ,
ვისთანაც შენ ხარ, ბედნიერი მას ეწოდება.
თვალნი დამივსო სიყვარულით, ალბათ, გამჩენმა,
სიავე შენი მე სიკეთედ რომ მომაჩვენა.

58.

მაღალმა ღმერთმა მე შენს მონად რადგან მაქცია,
დე, დამიფაროს, შევამოწმო შენი ცხოვრება,
მუდამ მორჩილად მოგიწონებ ყველა საქციელს,
მე რომ მონა ვარ, ეს ყოველთვის მემახსოვრება.
ნება მომეცი, ავიტანო ტანჯვა წყეული,
მე სიმარტოვე მომისაჯა, ალბათ, ბუნებამ,
დაგელოდები, მოთმინებას შენგან ჩვეული,
და არასოდეს არ გაგბედავ შენს გამტყუნებას,
აღარასოდეს მომინდება შენი დაძრახვა,
ვისთანაც გინდა, იქ ატარე ჟამი, ნეტარი,
შენ უფლება გაქვს აისრულო ყველა განზრახვა
და აპატიო თავს შენივე ნამოქმედარი.
ჩემი ხვედრია ეს ლოდინი ჯოჯოხეთური,
არ უნდა დამცდეს სამდურავი და საყვედური.

59.

თუ არაფერი არ იქმნება ქვეყნად ახალი
და თუკი ზეცაც არ შეცვლილა დასაბამიდან,
მაშინ სიასლეს რად დაექებს ფიქრი მაღალი,
ერთხელ შობილი რატომ ვშობოთ ისევ თავიდან?!
მივბურნდეთ უკან, გავიართო წლები წარსული,
ხუთას მზის ჩასვლას გადავევლოთ ოცნებით თავზე,
ვიპოვოთ წიგნი, სიძველისგან ფერგადასული:
იქნებ იქ ვნახოთ შენი სახე მშვენებით სავსე.
მაშინ მომითხრობს დამტკვერილი წიგნის ფურცელი,
ვით აღიღებდნენ სილამაზის გასხივოსნებას,
ჩვენი სამყარო ძველებურად დარჩა უცვლელი,
თუ გავასწართ წინაპრების ფიქრს და ოცნებას.
წარსულშიც ბევრი მოთაყვანე იყო მშვენების,
მაგრამ სად იყო სილამაზე წინათ შენებრი?!

60.

როგორც ტალღები ასკდებიან სილიან ნაპირს,
ჩვენი წუთებიც უფსკრულისკენ მიისწრაფიან,
წუთებს ახეთქებს ერთმანეთზე დინება სწრაფი
და მიჰყვებიან დღენი ჩვენნი ზვირთებს ქაფიანს.
სიჭაბუკე ხომ ქვეყნად დიდხანს ვერ იციაგებს,
სიბერისაგან ვერ შეიძლებს შემობრუნებას,
შავი ღრუბელი გვირგვინოსანს მაინც მიაგნებს
და თავის პირმშოს შეიწირავს თვითონ ბუნება.
ნაირფერადი სიყმაწვილე გამოსუნდება,
ვეღარ იბრწყინებს დადარული შუბლი ნატიფად,
მშვენიერებას დაედება ჟამი ხუნდებად
და დროის ცელი, მოქნეული, ყველას გათიბავს.
მაგრამ ლექსებთან უძღურია დროის მარჯვენა,
ლექსი იცოცხლებს მაგ მშვენების გადასარჩენად.

61.

შენი ბრალია, რომ არ მიძინავს ღამით ამდენხანს?
რომ ვერ მოვხუჭე თვალი სიზმარმორეულები?
რატომ მარგუნე ამ ნანატრი ძილის გატეხა,
რად მომიხიე შენი ავი ორეულები?!
იქნებ, მესტუმრა შენი სული ასე შორიდან,
და ჩემს ღამეულ ნამოქმედარს ფხიზლად ჯაშუშობს,
რომ საშინელი რამე ცოდვა შეთხზას ჭორიდან
და შენი იჭვი ადრინდელი, არ მოაშუშოს?!
თუმცა ვინ მისცა შენს სიყვარულს ძალა ამხელა?!
ძილს საკუთარი სიყვარული მიტეხს მარადუამს,
მან მაიძულა ამ უძილო თვალთა გახელა
და ჩემმა ტრფობამ დამაყენა ღამის დარაჯად.
ეს უძილობა შენს სიყვარულს არ გამოსახავს,
რადგან ყველასთან ახლობლობ და ჩემგან შორსა ხარ!

62.

ცოდვა ღამედო, – შემიყვარდა ჩემივე თავი,
თავმოთნეობამ სული ჩემი მოინადირა
და რადგან ვატყობ, ძალა არ მაქვს გუმანთან დავის,
ამ სენისაგან ვერაფერი მიხსნის ადვილად.
ჩემზე ღამაში სხვა არავინ არ მეგულება,
მხიბლავს ეს სახე, ღვთაებრივად ჩამონათალი,
მჯერა, რომ მართლაც სრულყოფილი შემქმნა ბუნებამ,
მჯერა, რომ ქვეყნად არ არსებობს ჩემი ბადალი.
მაგრამ როდესაც ჩემს უტყუარ სარკეს ჩავხედავ,
შევეფეთები დაბერებულ სახეს საშინელს,
მაშინვე ვხვდები, რომ გონებამ გამათავსედა
და საკუთარი თავის ტრფობა კვდება მაშინვე.
მე ჩემი თავი შენმა ტრფობამ თუ შემაყვარა,
შენი ნორჩობის გაზაფხულით ვფერავ ჭადარას.

63.

როცა ჩემს მიჯნურს ჟამი აქცევს ჩემებრ ბეჩავად,
როცა ბუნება შეიწირავს სატრფოს მშვენებას,
როდესაც სისხლი დაშრება და მისი მზე ჩავა,
სახედაღარულს ვედარავინ მიეშველება.
დამის უფსკრულში მისი დილა გადიჩეხება,
გვირგვინს წაართმევს, სილამაზის მეფეს განგება,
მშვენიერება ვერ გაუძღვებს ჟამის შეხებას
და გაზაფხული უგზო-უკვლოდ გადიკარგება.
მე იმ დღისათვის აქედანვე ვიწყებ მზადებას
და ვიცი, დროის ბასრი ცელი სატრფოს არ ავნებს,
სიკვდილის მერეც გადარჩება მისი ხატება,
მე თუ ახლავე ავუშენებ ციხე-გალავენებს.
შავი სტრიქონი შეინახავს სატრფოს დიდებას,
ჩემი ლექსიდან ის მზესავით ამობრწყინდება.

64.

როდესაც ვხედავ, დროის ხელმა როგორ დადალა
გარდასულ წელთა საამაყო დიდებულება,
ციხე-კოშკებსაც აცამტვერებს ჟამი ხანდახან,
უკვდავ ბრინჯაოს მრისხანებით ამსხვრევს ბუნება.
ვხედავ, მშიერმა ოკეანემ მიწა დაფარა,
და ტალღებს ვხედავ, სამეფოთა თავზე გადავლილს,
ვხედავ, ხმელეთი სტიქიონებს ართმევს ნაპარავს
და ძარცვა-გლეჯით დაგროვილა ქვეყნად ნადავლი.
როდესაც ვხედავ, ქვეყნებს ანგრევს დროის ურჩხული,
ვხედავ უმძღაგრეს სახელმწიფოს დაშლა-დაცემას,
მაშინ მომესმის ნანგრევების ჩუმი ჩურჩული:
მოვა სიკვდილი ჩემი სატრფოს გასატაცებლად.
მეც სიკვდილივით მაშინებენ შენზე ფიქრები
და სული გოდებს, რომ ოდესმე აღარ იქნები.

65.

თუკი სპილენძს, ოკეანეს და დედამიწას
ო, დრო უღმობელი სასაფლაოს კართან მოდენის,
სიკვდილისაგან სილამაზეს ვინდა დაიცავს,
დროს რას დააკლებს მისი ძალა, ვარდისოდენი.
ზაფხულის სუნთქვამ, უნაზესმა, ვით აიტანოს
მოიერიშე დღეთა მძლავრი ქარტყილები,
როცა ინგრევა მიუწვდომელ კლდეთა პიტალო,
რკინის ჭიმკრები, ჟამის ხელით დატყვილები.
ფიქრო საზარო, სიტურფა გადასარჩენი,
დროის მარგალიტს დროის რისხვა რად ემტერება,
ვინ შეაჩეროს ჟამის სრბოლა მძლავრი მარჯვენით,
ან ვინ აკრძალოს სილამაზის გაცამტვერება.
ვერვინ შესწყვიტოს სილამაზის გადაშენება,
მხოლოდ მელანი შეინახავს სატრფოს მშვენებას.

66.

ყველაფრით დაღლილს, სანატრელად სიკვდილი დამრჩა,
რადგან მათხოვრად გადაიქცა ახლა ღირსება,
რადგან არარამ შეიფერა ძვირფასი ფარჩა,
რადგან სიცრუე ერთგულების გახდა თვისება,
რადგან უღირსებს უსამართლოდ დაადგეს დაფნა,
რადგან მრუშობით შელახულა უმანკოება,
რადგან დიდებას სამარცხვინოდ უთხრიან საფლავს,
რადგან ძლიერი დაიმონა კოჭლმა დროებაში.
რადგან უწმიდეს ხელოვნებას ასობენ ლახვარს,
რადგან უვიცი და რეგვენი ბრძენობს ადვილად,
რადგან სიმართლე სისულელედ ითვლება ახლა,
რადგან სიკეთე ბოროტების ტყვედ ჩავარდნილა.
ასე დაღლილი, ამ ქვეყნიდან გაქცევას ვარჩევ,
მაგრამ არ მინდა, ჩემი სატრფო ობლად რომ დარჩეს.

67.

შენ რატომ უნდა არსებობდე ამ ბინძურ დროში?
რომ შეძლო ყველა სიმახინჯის გაბათილება,
ქვეყნის ცოდვები რომ დაფარო მშვენების დროშით,
ცამ შენი შექმნა ამისათვის, ალბათ, ინება.
ყალბი ყალბით რატომ ვხატოთ შენი მშვენება,
მკვდარ ხელოვნებას რა ხელი აქვს ცოცხალ ფერებთან,
ხელოვნურ ვარდებს არ სჭირდება დღეს გაშენება,
არ დაგტყობია ნამდვილ ყვავილს ჯერ დაბერება.
ვიცი, რატომაც გაგაჩინა ქვეყნად ზეცამან,
რომ იციაგონ კვლავ ფერებმა წარხოცილებმა,
რომ შენ შემყურე წუთისოფელს ისევ ეწამა
უკვე გარდასულ ხელოვნების აღორძინება.
ახლა შენა ხარ გაძარცული ქვეყნის ქონება,
დიდებით სავსე გუშინდელი დღის მოგონება.

68.

მისი სახება დაგვრჩა წარსულ დღეთა სურათად,
როცა ყვაოდა სილამაზე ნამდვილ ვარდებად,
როცა სიყალბე ქვეყნად ლაღად არ დასცურავდა.
და არ იცოდნენ ცოცხალ სახის შეფერადება.
როს ლამაზმანებს, ამ ქვეყნიდან უკვე წასულებს
თმას არ აჭრიდნენ არც აშკარად, არც ნაპარავად,
მკვდარი დაღალით არ მოსავდნენ ცოცხალ ასულებს
მათი ცოცხალი დაღალების დასაფარავად.
მისი ხმა თითქოს იმ ნანატრი მხრიდან გაისმის,
უზადოა და ბუნებრივი მთელი არსებით,
სხვის ყვავილობას არ სესხულობს მისი მაისი
და არ ერთობა სილამაზის შელამაზებით.
მის სინატიფეს ყველაფრისგან იცავს ბუნება,
რომ აწმყომ ნახოს წარსულ დღეთა დიდებულება.

69.

შენს გარეგნობას ნაკლი არც კი მოენახება,
ყველას ატყვევებს მაგ ნაძერწი სახის დიდება,
შენთვის არაფერ არ იშურებს ხარკის გაღებას.
ქება-დიდებას შენი მტერიც არ ერიდება.
გარეგან სახეს გარეგნულად აქებენ მხოლოდ,
ბევრ შენს მეხოტბეს გულში თურმე იჭვი სდებია,
და მაგ სახელის შარავანდედს ეღება ბოლო,
როცა შენს სულის სიღრმეებში იჭვრიტებიან.
ფიქრობენ სულიც მათთვის ნათლად გამოკვეთილა,
რადგან იციან შენი ზოგი ნამოქმედარი,
არამზადები გიყურებენ ვითომ კეთილად,
შმორით იცვლება სურნელება მართლაც ნეტარი...
ვედარ ახერხებ სულიც სახეს რომ დაამგვანო,
რადგან დაცურავ უნიხბოდ და უიალქანოდ.

70.

რომ გაგინებენ, ამას, ჩემო, რად ვერ ეჩვევი,
ჭორი ხომ მუდამ სილამაზის იყო მხლებელი,
მშვენიერებას სამკაულად დააქვს ეჭვები
და ცის სიღურჯეც ყვავს არ დარჩა ხელუხლებელი.
ვერა დაგაკლოს, ღირსეული თუკი დარჩები,
შენი სახელი ჭორმა მხოლოდ განადიადოს,
ჭიადუასაც ხომ იზიდავს კვირტი ნარჩევი
და შენ კვირტი ხარ, სილამაზევე, საგანთიადო!
თუმც გიძღვევია საფრთხეები ყმაწვილკაცური,
გიზეიმია ცდუნებებთან ომის მოგება,
შენი სახელი ამ ბრძოლებში წმინდად დაცული
მაინც სუსტია შავი შურის დასაოკებლად.
და ოდნავ რომ არ გიბღალავდეს სახელს სოფელი,
გულთა სამყარო დაგრჩებოდა განუყოფელი.

71.

არ დამიტურო, ამ ქვეყნიდან თუკი წავედი,
თუკი ამცნობენ დედამიწას გლოვის ზარები,
რომ სამყოფელად ავირჩიე ბნელი შავეთი
და მივატოვე სააქაო შესაზარები.
და თუკი მერე გადიკითხავ შენ ამ სტრიქონებს,
პოეტის ბედზე არ დაღვარო ცრემლი მდუღარე,
მე მირჩევნია, ნურასოდეს ნუ მომიგონებ,
თუ ჩემზე ფიქრი აგატირებს და გამწუხარებს.
ო, მოიგონე ამ ტანჯული ლექსის მუდარა,
იქნებ მე მაშინ უკვე ნაცრად ვიყო ქცეული,
როცა ჩემს სხეულს გადაფარავს დამის სუდარა,
შენს სიყვარულსაც მიაყარე მიწა წყეული.
თორემ ნაღველი შენს სახეზე ღარებს გააჩენს
და მაგ ტრფობისთვის გამოგიტანს ხალხი განაჩენს.

72.

რომ არ მოგიხდეს ქვეყანაზე თავის მართლება:
რატომ გიყვარდი, ტრფობის ღირსი ჩემში რა იყო,
შენ ნუ მიგლოვებ, დამიტურონ კუბოს სანთლებმა,
შენი ჩემდამი სიყვარული მიწამ წაიღოს.
რადგან ღირსებებს მოკლებულა ჩემი არსება,
ჩემს ქებას მხოლოდ ტყუილით თუ გაიადვილებ,
მხოლოდ სიცრუე თუ შეიძლებს ჩემს დაფასებას,
თორემ სიმართლე ძუნწად ეტყვის ხალხს სინამდვილეს.
და თუ იფიქრებ, რომ ტყუილით სიყვარულს იცავ,
სიმართლეს აღარ გათქმევინებს შენი ნაღველი,
სხეულთან ერთად ჩემი ხსოვნაც მიეცი მიწას,
რომ ასე ურცხვად არ შებღალოს შენი სახელი.
არარა ვიყავ და გამკიცხავს ყველა თაობა,
შენც გაგკიცხავენ, რომ გიყვარდა არარაობა.

73.

შენ ჩემში უკვე შემოდგომის სიშიშვლეს ხედავ:
რტოებს სიყვითლეს ფოთლებისა შემოდარცვია,
ფრინველთ გალობა შეუცვლია გოდებას ხეთა,
და ტყეს სამოსი არასოდეს თითქოს არ ცმია.
შენ ჩემში ხედავ წარსულ დღეებს მიმწუხრიანებს,
მეწამულ სხივებს დასავლეთის ცაზე მოფენილს,
ქრება ნათელი, შუალამე ავად ხრიალებს
და მოუსავლეთს ემგვანება წუთისოფელი.
ვიცი, რომ უკვე მიმქრალ კოცონს მადარებ გულში,
ღადარი დღეებს დაუნაცრავთ, ცხარე ცრემლიანთ,
და რაც სინაზით ძიძაობდა სიცოცხლეს გუშინ,
ახლა მისივე სასიკვდილო სარეცელია.
რაც უფრო ამჩნევ, – სააქაოს თითქმის არღა ვარ,
მით უფრო მეტრფი, ვით განწირულს დასამარხავად.

74.

როცა სიკვდილის ცივი სხივი შემომაშუქებს,
ვიცი, ვერავინ ვეღარ შეძლებს გამოსარჩლებას,
მაგრამ წასვლამდე ჩემს სიცოცხლეს ლექსებს ვაჩუქებ
და ეს სტრიქონი უკვდავების ძეგლად დარჩება.
ვიცი, ამ ფურცლებს ვერ დაფარავს უამის სუდარა,
რადგან შენშია ჩემი ლექსი – ჩემი ქონება,
მიწად ვიქცევი, მიწას მეტი არა უნდა რა,
სხეული მიაქვს, სულს გიტოვებს ჩემს მოგონებად.
შენთვის იცოცხლებს ეს სტრიქონი ათასფერება,
ის, რაც მოკვდება, ჭია-ღუას დარჩეს სათრევად,
სხეულს მიწიერს არამზადის დაშნაც ერევა,
ამიტომ მისი მოგონება არც გეკადრება.
სხეულს დაჰკარგავ, თუ სიკვდილი მიუახლოვდა,
მაგრამ დაგრჩება, სხეულში რომ სული სახლობდა.

75.

სულის მალამოდ გადამეკცა შენი ზმანება,
როგორც ბუნებას გაზაფხულის წვიმა შხაპუნა,
მე შენთვის თავი შესარისხად არ მენანება,
მე ის ძუნწი ვარ, ქონებამ რომ დააძაბუნა.
ხან მემეტება ჩემი განძი გამოსაჩენად,
ხან ვშიშობ, – მძარცველ დროისაგან ვერვინ დამიცავს,
ხან მინდა შენთან, საგანძურო, მარტო დარჩენა,
ხან მინდა შენით თვალი მოვჭრა მთელს დედამიწას.
ხან შენი ცქერით სული საგსე ზღვას ედარება,
ხან კი მონატრულს უშენობა ცეცხლად მედება
და მე არა მსურს ქვეყანაზე სხვა ნეტარება,
გარდა იმისა, რაიც ჩემთვის გაგემეტება.
ხან მეზმანები, ხან გულგრილად თვალსაც გარიდებ,
ხან ლატაკი ვარ, ხან ვერ ვითვლი თვალ-მარგალიტებს.

76.

დღეს ჩემმა ლექსმა განახლება რად არ ინება,
რად ვერ ვახერხებ მოულოდნელ შემობრუნებას?
მხარი მეც რატომ ვერ ავუბი ახალ დინებას,
რად ვერ ვისესხე უცხოური ლექსის ბუნება?!
რატომ ვუმდერი დღენიადაგ მხოლოდ ერთ სახელს,
ჩემს შთაგონებას ძველმანები რად ვერ გაგხადე?
აღბათ ჩემს სახელს ყველა ჩემი სტრიქონი ამხელს
და ყველას ამცნობს რომ შენა ხარ ჩემი სახატე.
ჩემს ლექსს ამდერებს, სულო ჩემო, შენი დიდება,
შენ და ტრფიალი გადმეკეცით მუდმივ განცდებად,
შენზედ ნათქვამი ძველი სიტყვა არ იფიტება,
განმეორებით ძველი განცდა თურმე არ ცვდება.
მზეც ბებერია, მაგრამ მიწას მუდამ დაჰხარის,
ჩემი ტრფიალიც ძველია და მუდამ ახალი.

77.

სარკე გაჩვენებს მიმავალი მშვენების ღაღადს,
დაკარგულ წუთებს – საათების ქორთონიკონი,
მაგრამ სტრიქონი თუ მიანდუ თოვლისფერ ქაღალდს,
ცხოვრების წიგნად გაგიხდება შენი სტრიქონი.
სარკეში იგრძნობ, რომ ღარები სახეს ფარავენ
და სილამაზეც სასაფლაოს მიეპარება.
ისარი გეტყვის, რომ საათში დრო შემპარავი,
მარადისობის ქვეყანაში მიიპარება.
კარგო, ვის ძაღუს ყოველივეს დამახსოვრება?
მეხსიერებას ეფინება შავი ჩრდილები,
ქაღალდის ფურცელს თუ გაანდუ შენი ცხოვრება,
დაბრუნდებიან დაკარგული შენი შვილები.
გადაგეშლება წარსულ დღეთა სარკე მთლიანი,
და შიგ მრავალი რამ იქნება სარგებლიანი.

78.

ჩემი კალამი რადგან მუდამ ქებით გამოსავდა,
ლექსები ჩემი რადგან შენი ეშხით ლექსობდნენ,
შენს დიდებაში ამყვა გუნდი სხვა კალმოსანთა,
ფიანდაზობა შენი ვისაც სურდა ესოდენ.
მუნჯიც ამღერდა და არ უწყის, მის თავს რა ხდება,
ფრენენ ბრიყვებიც შენი ეშხის გადამკიდენი,
მაგ სილამაზით ფრთაშესხმული სიბრძნეც ლაღდება,
და მშვენდებიან ხელოვნების ცათა კიდენი.
მაგრამ ჩემსავით ვინ დახატა შენი სახება?
რამ მოგაწონოს სხვისი სიტყვა ჩემთან შენაყარს?
სხვა თუ ახერხებს შენით ლექსის მოვარაყებას,
ჩემი სტრიქონი, შენსმიერი, თავად შენა ხარ!
შენ თუ მირწმუნებ, გზიდან ყველა ჩამომეცლება
და შენც უმაღლეს სიბრძნედ აქცევ ჩემს უმეცრებას!

79.

წინათ ჩემს გარდა სხვა არავინ გთხოვდა წყალობას
და მხოლოდ ჩემს ლექსს ანათებდა მზე სხივოსანი,
დღეს სნეულ რითმას აღარ ძალუძს შენზე გალობა,
შენს დიდებაში შემეცვილა უცხო მგოსანი.

მჯერა, რომ მართლაც იმსახურებ მაღალ სტრიქონებს,
მაგრამ, ძვირფასო, მინდა მაინც კარგად იცოდე,
რომ შენს სახოტბოდ ახალს სხვაც ვერ გამოიგონებს,
მოვა, გაგქურდავს და ნაქურდალს გამოგიწოდებს.

ლექსით თუ გაქო, ეგ არ არის დამსახურება,
სიკეთე შენი ხომ ისედაც იქცა არაკად,
ლექსმა კი არა, სილამაზე მოგცა ბუნებამ,
რა მადლი გიქო, რაიც გულში უხვად არა გაქვს.
შენც მადლობელი ნუ იქნები მისი ლექსების,
რადგან მის სიტყვას ეშხი შენგან აქვს ნასესხები.

80.

შენზე წერის დროს მე ყოველთვის შიში მერევა,
რადგანაც, ვიცი, ჩემზე დიდი სული გიგალობს,
აღტაცებული სახელს გიმკობს ნაირფერებად,
რომ შენს საქებრად ჩემმა ლექსმა ვერ იგრიგალოს.

თუ შენი სულის ოკეანე ხომალდსაც იტევს,
ჩემი პატარა ნავით როგორ დაიტვირთები,
თუკი მეტოქე სიმღერებით დღედაღამ გიტევს,
ჩემს თავხედ ლექსსაც გაუძლებენ შენი ზვირთები.

ვიცი, გადვიტან სტიქიონის ყველა ქარტეხილს,
თუკი, ძვირფასო, ოდნავ მაინც წამეშველები,
ანდა გამრიყავს შენი ტალღა, ანძაგატეხილს,
ის ხომალდი კი, ნაპირს გავა თავის მშვენებით.
და თუ მეტოქეს შენი ზვირთი არსად ჩასძირავს,
ვიტყვი, რომ თურმე დასაღუპად ტრფობამ გამწირა.

81.

გინდ შენ მოესწრო ჩემი ცხედრის გამოსვენებას,
გინდ მე მომიხდეს შენს საფლავზე გლოვა–გოდება,
მაინც არასდროს არ მოკვდება შენი ხსენება,
ჩემი სული კი აღარავის მოაგონდება.
შენ თვით სიკვდილი უკვდავებას დაგადგამს დაფნად,
მე კი მოკვდები და არავინ აღარ მინატრებს,
მე ეს ცხოვრება მომიზომავს უბრალო საფლავს,
შენ ხალხის გულში საუკუნოდ დაიბინადრებ.
მე შენ ძეგლს გიდგამ ჩემი ლექსის უკვდავი სიტყვით
და როს მე და შენ ამა ქვეყნად აღარ ვიქნებით,
შენს სადიდებელს მომავალი თაობაც იტყვის,
გადაეცემა შთამომავალს შენი ფიქრები.
რადგან შენს პოეტს უკვდავების ლექსები უთქვამს,
ყველა სულდგმულის ბაგეებზე დარჩები სუნთქვად.

82.

შენ ჩემს მუხასთან რადგან არ ხარ ჯვარდაწერილი,
სხვა პოეტებით გატაცება არ გეკრძალება,
მხოლოდ ამ ლექსით მოხიბლული ვიცი ვერ ივლი,
როს სხვათა ხოტბა შენი გულის კარს ეძალება.
გონიერებაც მოუცია შენთვის განგებას
და შენს საქებრად ჩემი სიტყვა გეცოტავება,
ამიტომ გინდა განგადიდონ სხვათა ჩანებებმა,
რაც ვერ შეიძლეს ამ ლექსებმა, საცოდავებმა.
მაგრამ მე ვიცი, მათი ძალა დაიშრიტება,
ენამჭევრობა მეტოქეთა მე არ მაშინებს,
მალე მიხვდები ამ უბრალო ლექსის დიდებას
და ალაღ სიტყვას დაედება ფასი მაშინვე.
მჯერა სიყალბის მოყვარულად შენ რომ არ ივლი,
რადგან მაგ დაწვებს არ სჭირდება ფერუმარილი.

83.

რადგანაც ხოტბა მაგ სიტურფეს არა სჭირდება,
ნაზი ლექსებით არ მიქია შენი არსება;
ვიცი, იმდენად ლამაზია შენი დიდება,
რომ არ სჭირდება პოეტების შელამაზება.
შენი სიტურფე მომეფინა გულზე მაღამოდ
და მის საქებრად უძღურია ლექსის დაღადი,
მაგ მშვენიერებისთვის დღევანდელი მოცვდა ყალბი:
ვინ გადმოხატოს შენი სახე – ღმერთის ნახატი?!
შენ ეს სიხუმე თურმე ცოდვად გაქვს მიჩნეული,
მე კი ცოდვების გამართლება იმ ცოდვით მინდა,
რომ შენს დიდებას არ ვაკადრე ლექსი სწეული
და სიმახინჯეს ავაშორე მშვენიერება წმინდა.
შენი უბრალო გამოხედვა უფრო მეტია,
ვიდრე ის ქება, პოეტებს რომ გაუბედიათ.

84.

შენმა მგოსანმა თავის ნათქვამს რა დაუმატოს,
თუკი იტყვის, რომ „შენი მსგავსი მხოლოდ შენა ხარ!“
ამ ამადლებულ სტრიქონს თვითონ უნდა უმაღლოს,
რადგან სხვა სიტყვა შენს დიდებას მხოლოდ შელახავს.
თუ სხვა მგოსანი სატრფოს ქებას არ აზვიადებს,
მისი კალამი უსუსური არც ღირს შენახვად.
შენი პოეტი თავს იმითაც განაღიადებს,
თუკი იტყვის, რომ: „შენი მსგავსი მხოლოდ შენა ხარ!“
საკმარისია გადმოხატოს შენი მშვენიერება,
არ დაგაკნინოს შენ, ბუნების დიდო გვირგვინო!
მისი მნათობი აღარასდროს ჩაესვენება,
მისმა სახელმა უკვდავების ცაზე ივრგვინოს.
და მე მაკვირვებს ქებისადმი შენი განწყობა.
შენი ქება ხომ არის შენივე შეურაცხყოფა!

85.

დადუმებული ჩემი მუზა ვერ გესალმება,
სხვები კი, ამ დროს, შენი ქებით გალაღებულან,
გადაქცეულან მელექსენი ოქროს კალმებად,
ხან ძველებურად გიმღერიან, ხან ახლებურად.
მე მუნჯადა ვარ, ულექსობას ვითმენ და ვითმენ,
სხვები კი სწერენ ჩინებულად ლექსებს მაცდურებს,
მეც მათ ჰიმნებზე „ამინს“ ვამბობ, ვით მედავითნე
და შენს საქებრად ნათქვამ სიტყვას სხვას ვუდასტურებ.
სხვა როს გადიდებს, მე ყოველთვის მას ვეთანხმები,
თუნდ მეცოტაოს მისი სიტყვა ხოტბად დანთქმული,
მე გულში გაქებ, უხილავი შენი თანმხლები,
რამეთუ შენ ხარ ჩემი ლექსი, ჩემგან ართქმული.
რადგან სიტყვისთვის მესობებებს წყალობ აქამდე,
მეც შემიწყაღე, თუ უსიტყვოდ აზრი გაგანდე!

86.

როს ტყვედ მიყვები მისი ლექსის გაშლილ იალქანს,
როცა მის სიტყვას მონუსხული გულში იკონებ,
შიშით ვიბნევი და ფიქრებსაც ვატან ნიავექარს,
კვირტშივე დამჭკნარს ვმარხავ ჩემი ლექსის სტრიქონებს.
ჯადოქრებისგან თუ ისწავლა შემოქმედება,
თორემ მოკვდავის ნამღერს არ ჰგავს მისი გალობა,
ვფიქრობ და სულებს უსამართლო ბრალად ედება
ჩემი შიში და ჩემი ლექსის უგზაკვალობა.
ჩემს მეტოქეს და მის ჯადოქრებს ნუ ეგონება,
რომ ნალამური პოეზიით ცრემლი მედინა,
მე შიშმა როდი ამირია ჭკუა-გონება,
სიმღერა ჩემი სხვა მიზეზმა გამაწყვეტინა.
მან თავის ლექსში მოგცა ბინა. მუნჯად მიტომ ვარ,
რომ სადიდებლად შენი ჩრდილიც არ დამიტოვა.

87.

გემწვიდობები, საგანძურო, მივხვდი, ვინა ხარ,
მე შენი ფასი მეშლებოდა თურმე ხანდახან,
ახლა კი ვიცი, მაგ საუნჯეს ვერ შევინახავ
და შენს სიყვარულს უნდა ავხსნა ჩემი ყადაღა.
შენს მიჯნურობას საჩუქრად თუ ვედირსებოდი,
თორემ არარას ვინ მომცემდა განძის სამყაროს,
ნება ხომ მომეც, შენს სიყვარულს შევხიზნებოდი,
მაგრამ მე მინდა თავს უფლება თვითონ ავყარო.
განძს რომ მჩუქნიდი, მისი ფასი შენ არ იცოდი,
ან ჩემი ფასი შეგეშალა ტრფობით დაქანცულს,
შენი საუნჯით ვნეტარებდი, შენით ვიწვოდი,
მაგრამ უკანვე დაგიბრუნებ ქვეყნის საგანძურს.
ტრფობის სიზმარში მე გვირგვინი მედგა მეფისა,
შენც და სამეფოც დამეკარგეთ გაღვიძებისას.

88.

როდესაც შენი სიყვარული ისე ჩაცხრება,
რომ შეიძულე, რაც გიყვარდა ჩემში ამდენხანს,
მეც მოგემხრობი ჩემივ თავის დასამარცხებლად
და არ გავამხელ, რაც იკადრე ფიცის გამტეხმა.
არავინ უწყის ჩემზე უკეთ ჩემი ცოდვები
და თუ საქვეყნოდ ვადიარე, რასაც ვმაღავდი,
მიტოვებული აღარავის შევეცოდები
და შენც ღირსებად ჩაგეთვლება ჩემი დაღატი.
შენი მოგება როდი ნიშნავს ჩემთვის წაგებას,
მე ხომ დღედაღამ შენ სახელზე ვლოცულობ სანთლით
და თუ დიდებას მოგანიჭებს ჩემი ძაგება,
მე შენს დიდებას ჩემს საკუთარ დიდებად ჩავთვლი.
ჩვენი ტრფიალი საუკუნოდ კვლავ მეწამება
და ნეტარებას მომანიჭებს შენთვის წამება.

89.

რადგან დამტოვე, სთქვი, ჰქონდა-თქო დანაშაული
და მეც ვიცრუებ, რომ დავკარგე ტრფობის უნარი,
სთქვი, კოჭლია-თქო და კოჭლობით ქუჩას ჩავუვლი,
რომ ყველასათვის დარჩე მარად გაუმტყუნარი,
ძვირფასო, შენი ორგულობის გასამართლებლად
მევე მომანდე შეგინება ჩემივ კაცობის,
გაგეცლები და ტრფობაც გულში დასამარდება,
სატრფო კი არა, არ გერქმევა ჩემი ნაცნობიც;
არ წამოსცდება ბაგეს ჩემსას შენი სახელი,
გადვიკარგები და სიცოცხლეს შხამით ამივსებ,
ვედარასოდეს ვერ მიხვდება ჩვენი მნახველი,
შენი არსება რომ ოდესღაც გავითავისე.
ჩემივე მიმართ სული ჩემი ზიზღით ივსება: –
ვინც შენ შეგბუღდა, ჩემს სიყვარულს ვერ ეღირსება.

90.

თუკი ოდესმე შემიძულე, დღეს მიმატოვე,
როცა ქვეყანა წინ აღმიდგა, ვით მუხანათი,
უფრო იოლად გადავიტან ჩემს სიმარტოვეს,
თუ ბოლო წვეთი არ იქნება შენი დალატი.
და თუ ოდესმე მოწოლილი სევდა განვდევნე,
არ მომეპარო და არ ჩამცე ზურგში ხანჯალი,
ქარიან ღამეს მერე წვიმით ნუ გაათენებ,
ახლავ მომიზღე შხამი ჩემი დასატანჯავი.
ბოლო წუთისთვის ჩვენი გაყრა აღარ გადადო,
რომ ვერ მოვასწრო წვრილმან სევდით დაძაბუნება,
დღესვე მივიღო უდიდესი ჩემი სადარდო,
დღესვე მარგუნოს უშენობა ავმა ბუნებამ.
შენი დაკარგვით დაკოდილი გული ჩამწყდება
და დღევანდელი ყველა დარდი გამიქარწყლდება.

91.

ზოგს წარმოშობა, ზოგს სიმდიდრე ეამაყება,
ზოგს მოსასხამი მოხატული ცისარტყელებად.
ზოგი ტრაბახობს, თუკი მკლავში ძალა დაჰყვება,
ზოგს ბედაური ან მწვერები ესახელება.
ყველას თავისი გასართობი მოუგონია.
ყველას თავისი მიზანი აქვს, დასაფიცარი,
მე კი, ამქვეყნად, სიხარული სხვა რამ მგონია,
ბედნიერება უმაღლესი გამოვიცანი.
შენი ტრფიალი მირჩევნია ყველა წოდებას,
მათხოვარია ჩემთვის მეფეც თავის განძებით,
მწვერით გართული მონადირეც შემეცოდება
და ბედნიერი შენი ტრფობით დავიქანცები.
მაგრამ მახვილი შეგიძლია არ ამარიდო.
გრძნობა წამართვა და ერთ წამში გამაღარიბო.

92.

რაგინდ ეცადო, ჩემგან თავს ვერ გაინაპირებ,
ვერ შეგეღევი, ალბათ, სულის ამოხდომამდე,
რადგან სიცოცხლეს უტრფიალოდ მე არ ვაპირებ,
საფრთხე არ ელის იმ სიყვარულს შენ რომ მომანდე.
დიდი მზაკვრობის გამოჩენა არა გჭირდება,
რამეთუ შენგან მცირე წყენაც მომკლავს მაშინვე,
მკვდარი სული კი, ვიცი, ვეღარ დადუხჭირდება
და უკვე შენი თავნებობაც ვერ შემაშინებს.
რადგან შენს ღალატს მე უჟამო სიკვდილს ვადარებ,
შენი ღალატით ვეღარ ვიგრძნობ ნაღველს სრულებით,
ბედად მივიჩნევ, თუ სიცოცხლე ტრფობით ვატარე
და თუ იმავე სიყვარულით აღვესრულები.
ვნუგეშობ, თითქოს ასეთ ყისმათს ღაღადი შველის,
მაგრამ, ვაითუ, ვერც შევიტყო ღალატი შენი.

93.

სამარადისოდ დავიჯერებ შენს ერთგულებას,
მოტყუებულმა ქმრებმაც სწორედ ასე იციან,
მაგ უნდო გულში ტრფიალება კვლავ მეგულება,
თუმცაღა ვიცი, გული სხვისთვის გადაგიცია.
ზოგი თვალები ორგულობის ამბავს ყვებიან,
მოღალატენი ვერასოდეს თავს ვერ იჭერენ,
შენს გამოსხედვას სიძულვილი არ შეხებია,
მეც შენს სიყვარულს, ძველებურად, მიტომ ვიჯერებ.
შენი შექმნისას ზეცამ, ალბათ, ასე ინება:
შენს გულის ნადებს სიყვარული ფარავდეს ნიღბად,
ფიქრთა სიშავე მოსპოს თვალთა გამობრწყინებამ,
თეთრად მოჩანდეს გულიც შავი თვალების მიღმა.
აღარაფერი ამ სიცრუეს არ ეშველება,
ევას ვაშლივით მაცდურია შენი მშვენება.

94.

ვისაც ძალა აქვს ავი იქმნას, მაგრამ ავს არ იქმს,
ვისაც ძალა აქვს მუდამ დარჩეს კლდედ და პიტალოდ,
სხვა ამოქმედოს, მაგრამ არვის დასცეს თავზარი
და ცდუნებათა შემოტევაც გადაიტანოს,
მას თვითონ ზეცა მადლიერი თვალთა დაჰყურებს,
მისია მიწის საგანძური დამარჯნებული,
სხვები ხდებიან მისი ნების მოსამსახურე,
ის კი მეფეა, თავის თავზე გამარჯვებული.
ზაფხულის ყვავილს საზაფხულო მოაქვს სურნელი,
თუმცა დრო აჭკნობს და მუდმივად როდი აღადებს,
მაგრამ თუ სენი შეეყარა განუკურნელი,
ყვავილებს ვარჩევთ სარეველა მინდვრის ბალახებს.
და თუმცა ისევ სიკვლეუცეს ჩემობს სნეული,
დამპალ ზამბახებს სჯობს ჭინჭარი შემოსეული.

95.

თუმც ალამაზებ შენს ცოდვიან ზნეს და ქმედებას,
თუმცა მშვენებაც გარეგნულად გრჩება უცვლელი,
ცოდვა ყოველი სამარცხვინო ლაქად გედება,
რადგანაც ჭიას ვერ გაუძლებს ვარდის ფურცელი.
შენს გასაჭორად ზოგჯერ თავს რომ გამოიდებენ,
შენვე მაქებრად გარდიქცევა შენი მძრახველი,
და უნებურად ყველა მდერის შენს სადიდებელს,
ვინმემ შემთხვევით თუ ახსენა შენი სახელი.
და დაებედა სილამაზეს ცოდვის ტარება,
სასახლედ შენ რომ აგირჩია მანკიერებამ,
მაგრამ ვერავინ იგრძნო შენი გადაგვარება,
რადგან მშვენების შემხედვარეთ ბანგი ერევა.
არ გათამამდე, გიჯობს ჩემთვის ყურის დაგდება:
უდიერობით უბასრესი ხმალიც ბლაგვდება.

96.

ზოგიერთები სიყმაწვილეს გითვლიან ცოდვად,
სხვებმა კი მთელი შენი ყოფა ცოდვად დასახეს,
და ბოლოს მაინც შენდა ქებად იწყებენ ბოდვას,
რადგან, მაცდურო, ღირსებებად ცოდვებს ასაღებ.
დედოფლის თითზე რიყის კენჭიც აღმასად ბრწყინავს,
ცოდვები ლაქად შენც ვერასდროს ვერ მოგედება,
ცოდვას დღევანდელს, ანდა ურცხვად ჩადენილს წინათ,
ბოლოს ხომ მაინც დაერქმევა ქველმოქმედება.
ო, რამდენ ბატკანს შეიწირავს ცბიერი მგელი,
სხეული მისი ბატკნის ქურქში თუ გაიმართა,
ცხოვრების გზაზე შენც რამდენი ზვარაკი გელის,
შენი მშვენების ჯადოქრობას თუკი მიმართავ.
ეცადე, თავი შეიკავო ამდენ ავიდან,
რადგან, ძვირფასო, შენს დაცემას მე ვერ ავიტან.

97.

ო, მაშინ თითქოს სუსხიანი იდგა ზამთარი,
რადგან უშენოდ ზამთარსა ჰგავს ჩემი ცხოვრება,
ყველგან სიცივე, სიბნელე და ყველგან ავდარი,
ყველგან დეკემბრის სიშიშველე და გამათხოვრება.
ეს იყო მაშინ, როცა დატკნა ტურფა ზაფხული,
და შემოდგომას დახუნძლული ხეთა რტოებით
დაჰქონდა ტვირთი, გაზაფხულის მზით ჩასახული,
ვით ქვრივის საშოს ტვირთი ქმრისგან დანატოვები.
იდგა ეს უხვი მოსავალი, მაგრამ ბუნება
დაობლებული იყო თითქოს და გაქურდული,
შენ თუ არა ხარ, გაზაფხულის მზეც იბურება,
შენ თუ არა ხარ, აღარ ისმის ფრინველთ ჟღურტული.
ან თუ მოისმის, სიმღერა ჰგავს სევდას და წუხილს
და თრთიან, ზამთრის სიახლოვით, ფოთლები რუხი.

98.

უშენოდ ვიყავ, როს გვესტუმრა ცით გაზაფხული,
როცა აპრილმა მოიხურა სიჭრელე ფერთა,
ამღერდა მიწა, ზამთრის სუსხით გადაზაფრული.
მძიმე კრონოსიც ათამაშდა აპრილთან ერთად.
სურნელში თვლემდნენ ყვავილები გადაბურდული,
არ მიზიდავდა მათ საკრეფად ხატულა ფარჩა,
თუმცა ჩიტებიც აყრუებდნენ მიწას ჟღურტულით,
საგაზაფხულო სტრიქონები უთქმელი დამრჩა.
აღარ მსიბლავდა სილამაზე თეთრ ზამბახების,
ლექსით ვერ ვაქე მეწამული ვარდის თასები,
მე უშენობას ვერ მივსებდნენ მწვანე ბალები
და ყვავილები შენი შუქით ნალამაზები..
ჩემთვის ზამთარი იდგა მაინც სუსხით და სევდით,
და ვით შენს აჩრდილს, მე გაზაფხულს მინდვრებში ვსდევდი.

99.

დღეს ქურდობაზე დავიჭირე ყვავილი ბევრი:
იამ სურნელად ჩემი სატრფოს სუნთქვა ისესხა,
ზამბახსაც მისთვის მოუპარავს ხელების ფერი,
მკლავნი ასეთი ნათალ მხრებზე აბა ვის ესხა?
წაურთმევიათ მიჯნურისთვის თმების სიშავეც,
დგანან ვარდები სირცხვილისგან წითლად დამწვრები,
სხვა ყვავილებმაც ყაჩაღობა ვერ მოიშალეს
და ზოგმა ყელი გაგიძარცვა, ზოგმა დაწვები.
სუნთქვას მაწვდიან სურნელებად დამდნარს, იები,
ზოგმა სითეთრე მოგტაცა და ზოგმა სიწითლე.
მაგრამ შენს გამო შესევნიან ვარდებს ჭიები
და გადახრული ყვავილნარი სულსაც სიმწრით ლევს.
სხვა ყვავილებიც გადაშლილან კეთილშობილად,
მაგრამ შენს მიმართ მაინც ყველა ქურდი ყოფილა.

100.

სადა ხარ, მუზავ, ამდენი ხნით რამ დაგამუნჯა,
რატომ დასტოვე უმღერალი შენი სახატე?!
ვაითუ ნამდვილ ტრფიალებას იგდებ აბუნად,
და ვინმე უღირსს გატაცებით შენც შეჭლადლებ!
დაბრუნდი მუზავ, ცოდვიანი თავი დახარე,
ხოტბა შეასხი შენი სატრფოს ქალურ ქალობას,
მას უგალობე შენი ნიჭის ნერგს ვინც ახარებს,
მას უგალობე, ვისაც ესმის შენი გალობა!
მაშინ აღსდექი, როს სანატრელ სახეს დახედავ!
და იმ სახეზე ნაოჭები მოგეჩვენება!
დროის სახნისმა მის დაწვებზე თუ ითავხედა,
მრისხანე ლექსით მიუსაჯე დროს შეჩვენება!
სატრფოს დიდებას ღირსეულად თუკი გალექსავ,
დრო მოდრეკილი, თავის დაშნას ვეღარ გალესავს!

101.

ზარმაცო მუზავ! რატომ დგახარ დღეს განრიდებით,
რად აღარ აქებ სატრფოს ლექსით, კეთილშობილით?!
ის გვირგვინია მშვენების და ჭეშმარიტების,
მისი წყალობით შენც ოდესღაც გახდი ცნობილი.
ვინ იცის იქნებ შეგაცდინეს შენმა აზრებმა:
რომ განდიდებას ვერ აკადრებ უცხო ქმნილებას,
რომ სილამაზეს არას არგებს შელამაზება
და რომ სრულყოფა არ სჭირდება სრულყოფილებას.
არა! შენ სატრფო არ დასტოვო დაუდაფნავი!
ლექსის ღარაღა ჩამოჰკიდე ახალ მძივებად!
რომ წინ ვერასდროს ვერ აღუდგეს მისი საფლავი,
მისი მშვენების და სიცოცხლის გახანგრძლივებას.
მაშინ დღევანდელს დროის ჟანგი ვერ მოერევა
და უკვდავებას დაიმკვიდრებს მშვენიერება.

102.

მე ძლიერ მიყვარს, მაგრამ გრძნობას არ გამოვაჩენ,
რადგან ტრფიალი უნდა იყოს მუდამ ფარული,
მაშინ მიჯნური სიყვარულით არის მოვაჭრე,
თუ ხალხს მოუთხრო თავის გრძნობა და სიყვარული.
ვარდობისთვეში სიყვარული გვექონდა ახალი.
ახლა გრძნობები ლექსში ვეღარ სათუთდებიან,
ვარდობისთვეში ზეცას სწვდება მგოსნის ძახილი,
შემოდგომაზე ბუღბუღებიც დადუმდებიან.
შემოდგომაზე ბუღბუღები ღამეს ტოვებენ.
თუმცაღა ზეცა ვარსკვლავებით ისევ კიაფობს,
ველურ მუსიკით იღლებიან ხეთა რტოები
და ბუღბუღს არ სურს, რომ სიმღერა გააიაფოს.
მეც ბუღბუღივით დამუნჯება ვრაცხე წყალობად,
რომ არასოდეს მოგაწყინოს ჩემმა გალობამ.

103.

დადუმებული ჩემი მუზა ოდეს მღელვარე,
შენს სადიდებლად სიტყვა არ აქვს ამოსარჩევი,
რადგან შიშველიც შენი სული ისე ეღვარებს,
რომ სამოსელად არ სჭირდება ლექსის ფარჩები.
არ გამამტყუნო, თუკი ხოტბით აღარ გაწუხებ,
სარკეს ჩახედე და მიხვდები მაშინ რაცა ხარ,
შენი მშვენება შთაგონებას ადებს მარწუხებს,
ჩლუნგი ლექსი კი რომ შეგბედო, ყველა დამძრახავს.
სწორედ ამიტომ ვმუნჯდები და ვთავაზიანობ,
რა მოვიგონო უბადრუკმა შენი საქები?!
როგორ შევცოდო, ლექსით როგორ დავაზიანო
ეგ შენი სახე ღვთაებრივად ნაქანდაკები?
ლექსმა ვერ გიქოს ეგ ნაკეთები წარუშლელები,
შენს სარკეშია ჭეშმარიტი ხოტბა მშვენების.

104.

ძვირფასო, ჩემთვის შენი სახე როგორ დატკნება,
ისეთივე ხარ, როგორც წინათ მყავდი ნახული,
მას შემდეგ სამი სუსხიანი ზამთრის კლანჭებმა
ტყეებს წაართვეს სიამაყე სამი ზაფხულის.
სამ ვარდობისთვის წაეყარა ფოთლები რუხი,
სამი აპრილის სილამაზეს და სურნელებას
ცეცხლად მოედო სამ ივნისის სიცხე და ბუდი,
დატკნა ყოველი, არ დამტკნარა შენი მშვენება.
როგორც ისარი საათისა, მშვენიერებაც
მიიპარება და არ რჩება მას ნაკვალევი,
იქნება დატკნა ეგ სიტურფეც ნაირფერება,
მე კი, უგუნურს, მატყუებენ ჩემი თვალები?!
ყოველი ტკნება, რაც მშვენებით მოდის ჩვენამდე,
მაგრამ სიტურფე მტკნარი იყო შენს გაჩენამდე.

105.

აღბათ თქვენს თვალში მე ვიქცევი მართლა წარმართებრ,
აღბათ დამწამებთ სატრფოს კერპად გამოცხადებას,
რადგან ამ ქვეყნად ბედი ჩემი ასე წარვმართე:
ერთ სახელს ვუმღერ, ერთს ვუწოდებ სალოც ხატებას.
მიჯნური ჩემი კეთილია აწ და მარადის,
არ იცვლება და მერყეობა არცა შეფერის,
რადგან ცთუნება ცვლილებისა აცდა მარად დიდს,
მასზე ნამღერი ჩემი ლექსიც დარჩა ერთფერი.
ნატიფი, ქველი, გულმართალი, – ვამბობდი გუშინ,
ნატიფი, ქველი, გულმართალი, – ვიტყვი მარადუამს,
ეს სამი სიტყვა ჩამებეჭდა ანთებულ გულში,
და ლექსიც ჩემი ამ სამ მცნებას უდგას დარაჯად!
თითო სიკეთეს აღმოვუჩენთ ათას მახლობელს,
მაგრამ ვის ახსოვს სამივ მადლი ერთში სახლობდეს?!

106.

მემატიანე როცა მითხრობს წარსულ ოცნებას,
როცა გარდასულ სილამაზეს ვხედავ ზმანებით,
როცა ვკითხულობ, როგორ აქეს წინათ მგოსნებმა
რაინდები და ლამაზმანი ბანოვანები,
მაშინ ვრწმუნდები, წინაპარი შენ დაგეიქებდა,
შენ გგულისხმობდა, როცა აქო ლალის ბაგენი,
შენი დიდების ძალა მხოლოდ იმათ შესწევდათ,
ისინი იყვნენ მაგ მშვენების მოქანდაკენი.
მათი წინასწარმეტყველება ქვეყნად განთქმულა,
შენმა ხოტბამაც წინ აღუსწრო შენს დაბადებას.
საგალობელი შენი ღირსი მაინც არ თქმულა,
რადგან ბუნდოვნად ჩანდა შორით შენი ხატება.
ჩვენ ბედი გვერგო, ღვთაებაო, ვიცით ვინა ხარ,
მაგრამ სტრიქონი, შენი ღირსი, ვერ მოგვინახავს.

107.

ვერ მეტყვის შიში, ვერც სამყაროს სული მარადი,
რაგინდ იცოდეს მომავალი დროის გზა-კვალი,
რა ხანი დარჩა ჩემს სიყვარულს კუბოს კარამდი,
როდის მომიკლავს ტრფიალებას უამი მზაკვარი.
მთვარემაც იცის, რომ წერაა შავი ჩრდილისა,
უკვე მისნებიც დასცინიან თავის მისნობას,
ისევ მშვიდობას უმღერს ტოტი ზეთისხილისა,
ისევ იმედით შეიცვალა დღეს უმიზნობა.
ვიცი, სიკვდილი ვერასოდეს ვერ გამაჩუმებს
არ მოაკლდება ჩემს სიყვარულს ნამის პკურება,
და უკვდავებას ჩემი ლექსი შემინარჩუნებს.
უვიც ტომებს კი, ვიცი, ელით განადგურება.
როცა ტირანთა საფლავები გადიხავსება,
ძეგლად დარჩება ჩემს ლექსებში შენი არსება.

108.

გონებავ, ნუთუ კიდევ რამეს გამონახავდი,
რაიც არ უთქვამთ აღზევებულ ლექსის სტრიქონებს,
ამაო არის სიყვარულის ძველი დაღადი,
რადგან შენს ქებად ახალს ვერას გამოვიგონებ.
ყველა სიძველე, მეგობარო, როდი ძველდება,
ამიტომ ლოცვად ვიმეორებ კუბოს კარამდის,
რომ უშენობა, ვით პირველ დღეს, კვლავ მიძნელდება,
რომ შენ ჩემი ხარ და მე შენი აწ და მარადის.
მარადიული სიყვარული არ იქანება,
არ იმტვერება აწყვეტილი დროის თარეშით,
და თუ სიბერე ააცილა ტრფობას განგებამ,
თვითონ სიბერე გახდა მისი პირისფარეში.
თუმც ჩემი გრძნობა გარეგნულად გავდა წვალებას,
ვერ ეღირსება დრო ტრფიალის გარდაცვალებას.

109.

გემუდარები, ორგულობა არ დამაბრალო,
არ დაიჯერო, განშორებამ გრძნობა გასრისა,
არ დაივიწყო, რომ ოდესღაც გული საბრალო
შენსავე მკერდში შევინახე, შენგან წასვლისას.
შენი მკერდია ჩემი გრძნობის თავშესაფარი,
შინ დაბრუნება იცის, თურმე, ჩემისთანამაც,
შენზე ოცნებით მოვიარე ქვეყნად მთა-ბარი,
მაგრამ ცოდვების განსაბანი წყაღიც თანა მაქვს.
არ დაგიმაღავე, მეც სხეულებით ღხენას დავეძებ,
და ახლაც შენთან უცოდველი როდი მოვედი,
მაგრამ არასდროს დაიჯერო – ისე დავეცე,
გადავივიწყო შენი სულის სვეტი ცხოველი.
შენს უკეთესი რა შემეძლო ქვეყნად მენახა,
ამ უნაპირო სამყაროში მხოლოდ შენა ხარ.

110.

ვაგლახ, რომ მართლაც სად არა ვარ ნაწანწალები,
ხან ლაზღანდარა და მასხარა ვიყავ საწყალი,
ვფლანგე სიმდიდრე, შექენილი დიდის წვალებით
და ძველი გრძნობა ახალ ტრფობით შევურაცხეყავი.
ჭეშმარიტება არ მიყვარდა შმაგბუნებიანს,
ჭეშმარიტება არ მინდოდა ნათლად მენახა,
მაგრამ გულს ისევ სიჭაბუკე დაბრუნებია
და უკვე ვიცი, ჩემი სატრფო მხოლოდ შენა ხარ.
უკვე დასრულდა ჩემი გზები სახეტილო,
აღარ დავეძებ ტრფიალებას გაუთავებლად,
ვერას დამაკლებ ცთუნებათა მახევ, ტიალო,
რადგან ვიპოვე სიყვარულის წმინდა ღვთაება.
კარგო, შენი ვარ, შეისმინე ჩემი მუდარა,
შენი ნათალი მკერდი მინდა ნავსაყუდარად.

111.

ჩემი კი არა, ბედისწერის ბრალია მხოლოდ,
ამ ცხოვრებაში სამარცხვინო რაც კი მქონია,
ვეღარ გავუბე წუთისოფელს თავი და ბოლო,
და მათხოვრობაც სათაკილო აღარ მგონია.
რადგან ვით მღებავს საღებავი, ხელზე წასმული,
ლაქად მაცხია სამარცხვინო ნამოღვაწარი,
გთხოვ, შემიცოდო შერისხული და დაღდასმული,
აღმადგენინო დანგრეული სულის ტაძარი.
მეც დაგიმტკიცებ აგადმყოფის მოწადინებას,
ვფიცავ, სიმწარე წამლებისა არ შემაშინებს,
შხამსაც მივიღებ, შენმა ნებამ თუკი ინება,
ოღონდ სენისგან განიკურნოს სული მაშინვე.
არა, არ გინდა, წამალს არ გთხოვ ძვირფას მეგობარს,
შემიბრალე და მკურნალობად ესეც მეყოფა.

112.

სიკეთით სავსე შენი ტრფობა მაღამოდ მექცა,
მოშუშდა სული დაშანთული ცილისწამებით,
საჩრდილობელი შენი ფრთის ქვეშ მარგუნა ზეცამ,
რაც უნდათ ის თქვან, აღარაფრით არ ვეწამები.
ჩემი ცხოვრების მოსამართლე მხოლოდ შენა ხარ,
მე შენი სიტყვით ან ვიხარებ, ანდა ვიწვალებ;
სხვა კი ვერავინ გრძნობის აბჯარს ვეღარ შელახავს,
სხვები მოკვდნენ და მეც ყველასთვის გარდავიცვალე.
უკვე არც ძალმიძს აღარავის აზრის გაგება,
ისე დავიხსე ყველასათვის სმენა გველური,
გულს აღარ ხვდება აღარც ქება, აღარც ძაგება,
ყურს აღარ ესმის წუთისოფლის ხმები ველური.
ასე მგონია, საუკუნოდ ბედმა შეგვეყარა,
ყველა დაინთქა და მე და შენ შევრჩით ქვეყანას.

113.

რაც შენ დაგტოვე, მე გონებით ვჭვრეტ ამ ქვეყანას,
თვალებს კი ბინდი გადაჰკვრიათ ოხერ-ტიალებს,
შენი დაკარგვით უბედობა შემომეყარა
ცხოვრების გზაზე უსინათლოდ მოხეტიალეს.
ფრინველებისკენ ჩემი გული აღარ ისწრაფვის,
მას აღარ სწვდება ყვავილებით სავსე ბუნება,
გონების თვალი დანავარდობს ელვის სისწრაფით,
მაგრამ არ ძალუძს დანახულის შენარჩუნება.
ყვავი თუ მტრედი, დღე თუ ღამე, ზღვა თუ ნაძვები,
უსინათლობას ერთ არსებად შეუკონია.
და ყველაფერში მეჩვენება შენი დაწვები
და რასაც ვხედავ, მხოლოდ შენი სახე მგონია.
სავსე ვარ შენით და ეს არის დიდი ქონება,
ასე მატყუებს გულმართალი ჩემი გონება.

114.

ვინ იცის, იქნებ მართლა ცდება ჩემი გონება
და შეუყვარდა პირფერობა, – ბანგი მეფეთა,
ან თვალი ტყუის, შენს მშვენებას რომ ემონება,
რადგან ტრფიალით ჯადოქრობა ერგო სვე-ბედად,
მისთვის ურჩხულნი აღარ ჩანან უკვე მხეცებად,
გადაქცეულან უნატიფეს ქერუბინებად,
სიმახინჯესაც სილამაზე გადაეცემა,
თუკი თვალების ჯადოქრობამ ასე ინება.
თვალი პირფერობს ათას ხერხის გამოგონებით,
და გონება კი მის საწამლავს იღებს მეფურად,
თვალს არ ეშლება გემოვნება ჩემი გონების
და სიყვარულის შხამს აწოდებს უწინდებურად.
მაგრამ ამ ცოდვას არ მივიჩნევ გასაკვირველად,
რადგან საწამლავს თვითონ თვალი შესვამს პირველად.

115.

თურმე ვტყუოდი ჩემი ლექსი რომ გიმღეროდა,
თითქოს და ჩემი ტრფიალება მწვერვალს ავიდა,
ისე მიყვარდი, რომ მე მართლა არა მჯეროდა,
თუ სიყვარული დასაწყები მქონდა თავიდან.
დრო, ათასგვარი შემთხვევებით დანატვირთები
შეცვლის ყველაფერს, – აღთქმასა თუ მეფის ბრძანებას,
მშვენების ფერებს გადარეცხენ დროის ზვირთები,
შეესევინა ურყევ სულებს ველურ ძალებად.
და მეც მაფრთხობდა წუთისოფლის უკუღმართობა,
ველარ ვბედავდი მეტქვა: „ტრფობა ცამდე ავიდეს!“
მე დღევანდელი სიყვარულის ფიქრი მართობდა
და არასოდეს ვენდობოდი დილას ხვალინდელს.
თურმე ტრფიალი, როგორც ბაღლი იზრდება გულში,
მე კი მოზარდი მოწიფულად ჩავთვალე გუშინ.

116.

მოყვარულ გულებს შეუდლება არ ეკრძალება,
და მაინც გრძნობას არ დაარქვათ ტრფობის სახელი,
თუკი იოლად აჰყვა ყველა ფერიცვალებას,
თუკი დასჩემდა მერყეობა არგასამხელი.
რადგან ტრფიალი აღმართულა შუქურის მსგავსად,
გრიგალიც ვერ სპობს, თუმც წალეკვას ბევრჯერ დაპირდა,
აღრიალებულ სტიქიონში მოხვედრილ ნავსაც
ტრფობის ვარსკვლავი მიაცილებს მყუდრო ნაპირთან.
ტაკიმასხარად ვერ გაიხდის სიყვარულს ჟამი,
ის მხოლოდ დაწვებს ჩამოღვენთავს დამტკნარ ვარდებად,
ყველაფერს ცელავს ჟამთასრბოლის ყოველი წამი,
სიყვარული კი არასოდეს დასამარდება.
მაგრამ თუ ვცდები, თუ მატყუებს ჩემი ოცნება,
ვერც მიჯნურებად გაგჩენილვართ, ვერცა მგოსნებად.

117.

სთქვი, რომ ძუნწი ვარ სიყვარულში შენი მსახური,
ვერ დავაფასე, შენი გრძნობა რასაც მავალებს,
თუმცა ტრფიალი მე გულში მაქვს შემონახული,
მიტოვებული დამრჩა შენი ჩუმი სავანე.
სხვებთან ვლადობ და სხვა მხარეში რას არ ვედები,
შენი მიჯნური სხვა გრძნობისკენ მივექანები,
შენგან წასული აღმა-დაღმა დავეხეტები
და ქარებს ვანდე ჩემი სულის იალქანები.
აღვირახსნილი ჩემი გული მინდა დალახვრო,
ჩემი ცოდვები შეაჩვენო, ჩემო იმედო,
წარბი შეჰკარი, ოღონდ ზიზღი არ დამანახო,
სიძულვილისთვის არასოდეს არ გამიმეტო.
გახსოვდეს, გრძნობამ მაიძულა გზიდან აცდენა
და გლალატობდი შენი გრძნობის გამოსაცდელად.

118.

სანელებელსაც ხშირად ვხმარობთ გაორკეცებით
და გვიხარია, თუ სიცხარემ მადა მოგვგვარა,
თუ მოვიწამლეთ, იმავე წუთში წამალს ვეცემით,
თუმც მოწამლულებს მისი შხამი გვწამლავს ორგვარად.
„შენც მოგბეზრდაო ტრფობის სიტკბო“ თითქოს ჩამესმა,
და მეც შხამს ვეძებ საკუთარი თავის ჯალათი,
უჯანმრთელესმა, უმხნევესმა, უჯანსაღესმა,
ავადმყოფობა დავიბრალე ძალისძალათი.
არ მაპატიო სიყვარულმა ჩემი მზაკვრობა,
ავადმყოფობას გადამყარა მართლა საშინელს,
სხეულის მოშლაც შევიგრძენ და სულის ჩაქრობაც,
შეშინებული ნამდვილ წამლებს ვეცი მაშინვე.
მაგრამ ცხოვრებამ ერთი მწარე სიბრძნე გამანდო:
წამალიც მწამლავს, რადგან შენით მართლა ვავადობ.

119.

სირინოზების შხამიანი ცრემლი შემისვამს,
გულს ჯოჯოხეთის საწამლავი ესადაგება,
შიში მიპყრობდა თუ იმედი გადარჩენისა,
სადაც მოგებას მოველოდი, დამხვდა წაგება.
როს ნეტარებით ცად ავფრინდი ცოდვილ მიწიდან,
ო, რამდენ ცოდვას ჩავდიოდი დაურცხვენელი,
და თვალნი ჩემნი ბუდეთაგან გადმომიცვივდა
ჩემი ცხოვრების ამ გიჟური ციებ-ციხელებით.
ო, ბოროტებაჲ, სასიკეთო ძალაც გქონია.
მშვენიერება მწუხარებით უფრო მშვენიდება,
თურმე ტრფიალიც, დანგრეული როცა გვეგონია,
მკვდრეთით აღდგება და არასდროს გადაშენდება.
მეც მწუხარებამ თუ მატარა ცოდვილ ყარიბად,
განძით ამავსო, განა მართლა გამაღარიბა.

120.

დღეს მიხარია, რომ ოდესღაც ასე მაწვალე,
რომ მეც მომიხდა კაემანის ახლოს გაცნობა,
დღეს მე ვაშავებ და ამიტომ თავს განაცვალებ, –
რადგან, ძვირფასო, არ ვიჩემებ რკინის კაცობას.
თუ დღეს ჩემს გამო შენც ჩემებრი შეგხვდა წვალეება,
თუკი ნამდვილი ჯოჯოხეთი შენც გამოცადე,
მაშინ მე უნდა ვუმაღლოდე იღბალს, ცვალებადს
და გუშინ შენგან გულნატკენი, უნდა გლოცავდე.
როდესაც ჩემი ტანჯვის დამე მომაგონდება,
ის მოგონება მინდა ისევ ცრემლმა დანამოს!
შენი აღერსით გაყუჩდება ჩემი გოდება
და მეც დაჭრილი სულისათვის მოგცემ მაღამოს!
ორივ ვეწამეთ და გულს უკვე გული ენდობა,
შენც, ჩემგან უკვე შენდობილმა, მითხარ შენდობა.

121.

სჯობია მართლა არამზადა იყო ნამდვილი,
ვიდრე ტყუილად არამზადას ხალხმა გადაროს.
ბედნიერებაც აღარ არის მაშინ ადვილი,
თუ ეს ცხოვრება სხვის ჭკუაზე უნდა ატარო.
რატომ შემიქვს აწყვეტილი ვნება დამნთქმელი,
სხვათა აზრები რატომ უნდა გახდნენ საჩვენო?
თვითონ ცოდვილებს ჩემს ცოდვებზე რა აქვთ სათქმელი,
ან რად ცდილობენ თეთრი შავად რომ მომაჩვენონ?!
მე იგივე ვარ და ვინც მადებს მძიმე ბრალდებას,
მხოლოდ თავს ამხელს, მე კი ვრჩები უზიანები,
სულით მდაბლების თავდასხმა კი მაღიმაღდება
და მსაჯულობენ თავად სულით კუზიანები.
პატივაყრილებს სურთ პატივი სხვასაც აჰყარონ
და მოგაჩვენონ ეს ქვეყანა ცოდვილთ სამყაროდ.

122.

შენს საჩუქარზე გადავწყვიტე ხელის აღება
და სურათს შენსას დაგიბრუნებ თავაზიანად,
უსურათოდაც ცოცხლობს ჩემში შენი სახება,
სამარადისოდ, უკვდავების თანაზიარად.
იცოცხლებ, ვიდრე ჩემი მზეც არ ჩაესვენება,
ეს ჩემი გული დაგიდგება ამის თავდებად.
და მხოლოდ მაშინ, როს მოგკვდები, შენი ხსენებაც
არარსებობის საუფლოში დაბინავდება.
შენი ხატება გონებაში ძეგლივით დავდგი,
უსურათოდაც კარგად ვიცი ჩემთვის ვინა ხარ,
შენ ჩემში სახლობ და ამაზე უსაფრთხო ადგილს
ვერსად, ვერავინ, ვერასოდეს ვერ მოგინახავს.
გიბრუნებ სურათს, ანდა სატროფოდ რატომ გსახავდი,
შენს გახსენებას თუ სჭირდება სხვისი ნახატი?!

123.

არა, დრო-ჟამო, ვერ შემიცვლი მაინც ბუნებას,
რაგინდ აშენო ცადაწვდილი პირამიდები,
მე არასოდეს გამაკვირვებს მათი ყურება,
ეგ ახლებური გარდასახვა ძველი დიდების,
რადგან მოკლეა წარმავალი წუთისოფელი,
შენ ძველმანებით მოგვაყარე თვალში ნაცარი,
თავი გვგონია ამა ქვეყნად ყოვლის მშობელი,
ჩვენად ჩავთვალეთ წარსულ დროის ნამოდგაწარიც.
მაინც ფუჭია შენი ძალა გოლიათური,
არც დღევანდელი მარცხებს და არც გუშინდელი,
აწმყოც ტყუის და შენი სიტყვაც ფოლიანტური,
ამიტომ, დროო, შენს ჭენებას არ გუშინდები.
გინდა იცოდე ჩემი სულის ამოძახილი?
ჩემს ერთგულებას ვერ შეარყევს შენი მახვილი.

124.

სამეფო კარზე არ შობილა ჩემი ტრფიალი,
ამიტომ ჟამი მის ბედ-იღბალს ვედარ განაგებს,
ვერც ყვავილივით გაახარებს ბედისტრიალი,
ვერც სარეველა ბალახივით გააჩანაგებს.
ჩემს სიყვარულთან რა ხელი აქვს მაცდურ ბუნებას,
შემთხვევით ხომ არ გაჩენილა ტრფობის ნათელი,
არც სიღარიბე აკვირვებს და არც ფუფუნება,
ვერაფერს აკლებს ჟამთასრბოლის კორიანტელი.
ყველა მთავრობამ მის წინაშე თავი დახაროს,
სამეფოს ძალა დღეს რომ ბრწყინავს, ქრება მაშინვე,
ცალკე სიმაგრედ აღმართულა ტრფობის სამყარო,
არც მზეს თხოულობს, არც ნიაღვრის ზათქი აშინებს.
არამზადებო, ალბათ, თქვენც კი დამერწმუნებით,
ვინაც სიცოცხლე გაატარეთ ცოდვა-ცდუნებით.

125.

ბაღდახინების მოყვარული სულაც არა ვარ,
გარეგან პატივს ვერ მივიჩნევ ღირსად პატივის,
უკვდავებისთვის ოსტატურად არ ვყრი ბაღაგარს, –
ის უკვდავებაც მოკვდავია თვით ოსტატივით.
გაკოტრებულა განდიდების ყველა მსურველი,
არ შერგებია ნეტარება დაფნის ძაძებარს,
დამტკბარ წუმპეზე ვინც გაცვალა მიწის სურნელი,
ის უძვირფასეს ატლასებსაც დაფლეთს ძაძებად.
მე კი შენს გულში დამაყენე მორჩილ მსახურად,
არ იცოტავო ჩემი მცირე შემონაწირი,
ალალი გულთ სიყვარულის ფრთებს მოგახურავ,
რომ მუდამ დარჩე განუყოფლად ჩემი ნაწილი.
განვედ მაცდურო! თუმც არვის აქვს ძალა შენდენი,
სულს ამბოხებულს გალიაში ვეღარ შედენი!

126.

ჩემო ბიჭუნავ, ჯერ შენი გზა კიდევ ვრცელია.
მაგრამ საათი რომ გიჭირავს, ყველას ცელია.
დროს წესადა აქვს ჩვენი ჭკნობით შენი გაფურჩქვნა,
დრო ერთდროულად გვახარებს და გვიგდებს აბუჩად.
დრო სპობს ყველაფერს, მაგრამ ახლა ცდილობს ბუნება
შენი განვლილი დროის უკან შემობრუნებას.
ბუნებას უნდა თავის კვალი დროს დააჩინოს,
წინ აღუდგეს და დაბერებას გადაგარჩინოს.
თუმცა სიკეთის მეტი მისგან არა გინახავს,
მაინც უფროსილდი, სამუდამოდ ვერ შეგინახავს.
დაგვიანებით, მაგრამ მოვა, როგორც სახადი,
და გადუხდელი არ დაგრჩება გადასახადი.

127.

წინათ შავგერემანს მშვენიერი არსად არ ერქვა,
არვინ ეტრფოდა, რაც ბუნებამ შავად დაქარგა,
ახლა საღდება მარგალიტად ჩვენში მდარე ქვა,
და სილამაზემ წინანდელი ფასი დაკარგა.
აღარ აცლიან დღეს ბუნებას დიდოსტატობას,
ფერუმარილით სიმახინჯე ყველამ დაფარა,
თავის საყდარი სილამაზემ თვითონ დასტოვა,
და უცხო მხარეს გადიხვეწა მიუსაფარად.
სატრფოს შავ თვალებს მეც შევცქერი დღეს გატაცებით,
ფერი გლოვისა აღამაზებს თვალებს უცოდველს,
აღბათ იმიტომ მოუხურავთ შავი ძაძები,
რომ სიმახინჯეს მშვენება და ეშხი უწოდეს.
მაგრამ ძაძები ისე შევნით სატრფოს შავ თვალებს,
რომ შავი ფერი სილამაზის ფერად ჩათვალეს.

128.

თავად მუსიკავ, როგორ გვატკობო მუსიკის დაკვრით,
აღბათ დალოცა ეს საკრავი თვითონ განგებამ,
როს კლავიშებზე მაგ თითების ნიავი დაჰქრის,
მაშინ სიმებიც ირხევიან ნეტარ ჰანგებად.
შენ დაგიკოცნეს კლავიშებმა თლილი თითები
და ბაგეს ჩემსას შავი შურის ალი ედება:
შენი ამბორის მონატრული, ეჭვით ვინთები,
როდესაც ვუმზერ ხის ნაჭრების გათაყხედებას.
მეც კლავიშებად გარდასახვის უინი მბოდებს,
არსება ჩემი რომ ბედნიერ საკრავს ვადარო,
მინდა ვემგვანო მოხტუნავე, გამხმარ ნაფოტებს,
რომ ეგ თითები ტანზე ჟრჟოლად გადამატარო.
მაგრამ რადგანაც ხელზე კოცნით სხვანი ცოდავენ,
მე, უბედური, შენს ბაგესაც არ ვიცოტავებ!

129.

ვნება ავხორცი იწვევს გრძნობის გამოხუნებას,
ის ურცხვად ფლანგავს და ამჟღევებს სულის დიდებას,
რადგანაც ასე მზაკვრულია მისი ბუნება,
აღბათ ველური არც მკვლელობას დაერიდება.
როდესაც ვნება დაცხრება და დაიდვენთება,
სტოვებს ზიზღიან მოგონებას, როგორც სამღურავს,
მერე კი ისევ სულში იწვევს ალის შენთებას,
როგორც ანკესი მოგდებული მუხანათურად.
აღზევებული გონგადასულს დაედარება,
დადვენებული მსხვერპლზე ჟინით დაუფარავით,
ასე ყოფილა ვნების ხვედრი – ჯერ ნეტარება,
მერე კი ფუჭი ოცნებები სავსე ვარამით.
ხომ კარგად იცნობს კაცთა მოდგმა ვნების ბუნებას,
რადატომ მისდევს ჯოჯოხეთში ციურ ცთუნებას.

130.

ჩემს სატრფოს თვალებს არ გამოჰყვა სხივი მნათობის
და მის ბაგესაც წითელ მარჯანს ვერ შევადარებ,
არც გულმკერდი აქვს თოვლისფერად გადანათოვი
და მავთულივით გაშეშებულ ნაწნავს ატარებს.
ბევრჯერ მინახავს ალისფერი და თეთრი ვარდი,
სატრფოს დაწვები სულ სხვაგვარად შეუფერიათ,
მე ისიც ვიცი, მისი მკერდის სურნელის გარდა,
უფრო ნეტარი სურნელება ქვეყნად ბევრია.
ტკბილია ჩანგი, მე კი სატრფოს სმენა მწაღია,
მისი ბაასი სიმის ხმაზე მეტად ვიწამე.
არსად მინახავს, ქაღდმერთები როგორ დადიან,
ჩემი სატრფო კი, ვიცი, დადის დედამიწაზე.
ვიცი და მაინც ძვირფას განძად გულით ვატარებ
და უსამართლოდ ვეღარავის ვერ შევადარებ.

131.

ასე მზაკვრები ნეტავ რად ხართ ლამაზმანები,
მშვენიერებამ ასე რატომ გაგაგულისათ,
მტანჯავ, რადგანაც იცი, მუდამ შენ მეზმანები,
რადგანაც შენ ხარ საგანძური ჩემი გულისა.
თუმც ბევრი ფიქრობს, არ გეკუთვნის ტრფობა ამხელა,
შენი აუგი ხშირად მესმის, ხალხში როცა ვარ,
სხვებთან ვერ ვბედავ შესიტყვებით გრძნობის გამხელას,
გულში კი მხოლოდ შენი ხატი მაქვს სალოცავად.
შენდამი ტრფობას მე ტყუილად როდი ვანაზებ,
ტყუილად როდი მესიზმრება თმა გიშრიანი,
ვიცი, ერთია ნეტარება ამ ქვეყანაზე:
შავგვრემან ქალის შავი თმების შმაგი შრიალი.
თმების სიშავით, ნეტავ, ვის რა დაშავებია,
მაგრამ, ვაგლახ, რომ თმასთან გულიც გაგშავებია.

132.

მიყვარს, როდესაც მიბრალებენ შენი თვალები,
მაშინ ვმშვიდდები თანაგრძნობით პატივნაცემი,
რადგანაც შენს გულს არასოდეს არ ვებრალევი,
მიტომ ჩაიცვეს მაგ თვალებმა შავი ძაძები.
ისე არასდროს არ ეცვლება ცასაც იერი,
როცა მნათობი აფერადებს ცას მოკრძალებით,
ისე არასდროს არ მშვენდება დასალიერი
მწუხრის ვარსკვლავის დიდებული ამობრძანებით,
როგორც შენ სახე დაგიმშვენეს ჩემზედ მოზარე,
შავმა თვალებმა – ჩემი ბედის ჭირისუფლებმა.
შავი თუ გშვენის, დაე, გულსაც ძაძა მოსავდეს,
შენს გულცივ გულსაც მიეც ჩემზე გლოვის უფლება.
მაშინ თამამად შემეძლება, ჩემო ხატებავ,
მშვენების ფერად, შავი ფერის გამოცხადება.

133.

წყეულიმც იყოს ამა ქვეყნად შენი გაჩენა,
გულიც მომიკვდა, ამერია შენით გონებაც,
მაგრამ ტრფიალმა მარტო მე კი არ შემაჩვენა,
ჩემი ძვირფასი მეგობარიც შენ გემონება.
საკუთარ თავთან ვერ ვპოულობ უკვე მსგავსებას,
ჩემს მეგობარსაც გული შენით გასწამებია,
ისიც დაგკარგე; შენც დაგკარგე, ჩემი არსებაც,
სამჯერ დავობლდი, კაეშანიც გამსამებია.
გულში ჩამკეტე, ტყვე ვიქნები შენი მარადუამს,
ოღონდ მეგობარს დაუდგები შენთან თავდებად,
თუ სამუდამოდ დამაყენებ მასთან დარაჯად,
ჩემი წამება მხოლოდ მაშინ თუ გათავდება.
თუმცა რასა გთხოვ შენმა გულმა დამაპატიმრა
და აღარასდროს გამომიღევე, ალბათ, სატირაღს.

134.

უკვე საჯაროდ ვაღიარე, რომ ის შენია
და მეც ვარჩიე გირაოში შენთან დარჩენა,
მინდა მევახშეს შემოგწირო რაც დამრჩენია –
ჩემი იმედის და მეგობრის გადასარჩენად.
მაგრამ ტყვეობა მეგობრისა აღარ თავდება,
არც შენ ელვეი და გაქცევა თავადაც არ სურს,
როგორც მევაღეს ის დამიდგა შენთან თავდებად
და სათნო სული სამუდამოდ მოგანდო ავსულს.
შენი ტყვეობა რადგან მართლა მშვენიერია,
მოძმე წამართვი და დაარქვი მასაც მძევალი.
ორივ ჩვენგანის უბედობა შენმიერია,
შენ მომისაჯე სიმარტოვე დასაწყევარი.
იგი ჩემს ვალსაც გადაგიხდის ადრე თუ გვიან
და მაინც, ვიცი, სამუდამოდ შენი ტყვე მქვია.

135.

თუმც არ აკლია შენს სურვილებს სიმრავლე ფერთა,
არ დაგავიწყდეს მეც „სურვილი“ მქვია სახელად,
ამიტომ გირჩევ შენს უთვალავ სურვილთან ერთად,
აღარასოდეს მოგერიდოს ჩემი გამხელა.

თუმც მიაღწიე შენი ნების ნამდვილ დიდებას,
მას ჩემს პატარა ნებასთანაც ვეღარ ათავსებ!
მოწყალებას გთხოვ და ამ თხოვნის არ მერიდება,
რადგანაც ვხედავ გული შენი წყალობს ათასებს.
ზღვაც ხომ შეჭხარის სულ პატარა საწვიმარ ღრუბელს;
წვიმა წვეთია, მაგრამ მაინც ზღვას ემატება,
მეც გადამიხსენ შენს სურვილთა დიადი უბე,
ვით ზღვამან წვიმა – შემიკედლოს შენმა ხატებამ.
აღარ მიხედო აღარც მტერს და აღარც მოყვარეს,
ყველა სურვილი, შენეული, ჩემზედ მოჰყარე.

136.

ჩემს სიახლოვეს სული შენი თუკი გიკრძალავს,
უთხარ უგუნურს, რომ „სურვილად“ მიცნობს ქვეყანა,
ისიც უთხარი, რომ სურვილი ჰქვია იმ ძალას,
ეს ჩემი გული შენს სანატრელ გულს რომ შეჰყარა.
მეც „სურვილი“ ვარ, სხვა სურვილებს მინდა ვემგებანო, –
ერთი კუნჭული მეც დამითმე შენს სასახლეში,
გამიხსენ შენი სურვილეთი უკიდებანო, –
რომ ვერც ძველებში გამარჩიონ და ვერც ახლებში.
სხვათა ფერხულში მეც უჩინრად მინდა ვიარო,
მსურს, შემვივრდომო და დაღუპვას გადამარჩინო,
არარა მერქვას, ოღონდ შენად მეც მაღიარო,
გავუჩინარდე, ოღონდ შენთვის დავრჩე საჩინო.
და შემიყვარებ მაშინ გრძნობით შეულახველით,
რადგან, ძვირფასო, „სურვილს“ ნიშნავს ჩემი სახელიც.

137.

ბრმა სიყვარულო, რად წამართვი სინათლე თვალთა,
თუმც ვიყურები, აღარ ძალუძთ ხილვა ამ თვალებს,
მშვენიერებას ხომ ყოველთვის ვხედავდი ნათლად,
მაშ, სიმახინჯე სილამაზედ რატომ ჩავთვალე?!
მზერამ თვალები მოისყიდა უკუღმართები,
ყველასთვის ღია მოუძებნა ნავსაყუდარი,
თვალთა სიცრუემ გამოჭედა რკინის ხლართები,
ჩემი გულისთქმის საბორკავი და სახუთარი.
ადგილი, სადაც ყველა ბრიყვი დაბოდიალობს,
გულმა ნაკრძალად შეძლო მისი გამოცხადება,
თქვენ ამას ხედავთ, მაგრამ ცდილობთ, თვალნო ტიალნო,
ამ გონჯი სახის გასაღებას ნამდვილ ხატებად.
ჩემთვის სიცრუე გადაიქცა ამ ბილწ მორევად,
და აღარც გულის, აღარც თვალის ძალმძის მორევა!

138.

როდესაც სატრფო ერთგულებას მიმტკიცებს ფიცით,
ვიცი, რომ ტყუის, მაგრამ მაინც ვუჯერებ სატრფოს,
მინდა იფიქროს, – ამ ცხოვრების მე არა ვიცი
და როგორც ჭაბუკს, ყოველივე მხიბლავს და მათრობს.
მერე კი მჯერა, რომ მას სჯერა, ბავშვი ვარ წმინდა,
თუმც კარგად იცის – სიყმაწვილე გადაჰყვა წარსულს,
მეც ჩემი სატრფოს სიცრუისა მჯეროდეს მინდა,
ვტყუით ორივე და სიმართლის გამხელა არ გვსურს.
სიმართლე ვიცი, მაშ სიცრუე რად ვათარეშეთ,
სინამდვილისგან რად გვიხდება ურცხვად გაპარვა?
არ არის ტრფობა მოჩვენებით ნდობის გარეშე,
სიბერემ იცის სიყვარულში წლების დაფარვა.
ასე ტყუილმა გაგვიხადა ორივე მონებად,
რადგან ამ ტყუილს მოაქვს მხოლოდ სიამოვნება.

139.

ვერ გავამართლებ ვერასოდეს მე შენს საქციელს:
ჩემი ღალატი შენმა გულმა რადგან ინება,
მაგრამ თაღლითო, მე სამასხროდ რატომ მაქციე,
მაგ გამოხედვას მირჩევნია ღანძღვა-გინება.
სჯობს, რომ ვიფიქრო: შენმა გრძნობამ დღეს ამოხეთქა,
დღეს უკვე მივხვდი, სიყვარულო, შენთვის ვინა ვარ,
და რადგან იცი მე ვერ ვუძლებ შენს გამოხედვას,
მზერას მარიდებ, სხვას იმეტებ გასაგმირაჲად!
სთქვი, რომ სხვა გიყვარს და მისთვის გაქვს გულის სამხილი,
თვალს ნუ მარიდებ, თითქოს მართლა ვეღარ მიცანი,
უმაგისოდაც ხომ კარგად ჭრის შენი მახვილი,
მე შენგან თავი ხომ ისედაც ვერ დავიცავი.
უმატოვალეზოდ ყოფნას გული მაინც ვერ იტანს,
მზერით მომკალი, დამიხსენი სატანჯველიდან.

140.

დაუნდობელო, ცოტა სიბრძნეც მონახე შენში,
იცოდე ჩემი მოთმინების ძალი მოცვდება,
შენი ჩემდამი სიძულვილი ჭკუიდან შემშლის
და არვინ უწყის გულდაკოდილს რა წამომცდება.
თუმც არ გიყვარვარ, სიყვარულის მითხარი ფიცი,
შენი ტყუილიც ტრფიალების დარად მჭირდება.
კარგმა ექიმმა მომაკვდავის დანდობა იცის
და სარეცელთან საღალღობო დღეებს პირდება.
და თუკი მართლა შევიშლები, ვეღარ დავცხრები,
აღარ შემრცხვება შენი ღანძღვა, შენი დასმენა,
ამ ზნედაცემულ ქვეყნის თვალში გაიღანძღები,
რადგან მზადაა ავი ყური ავის სასმენად.
მაგრამ თუ გინდა გაპატიო მაინც ეგ ქცევა,
თუმც არ გიყვარვარ, თვალი სხვისკენ ნუ გაგექცევა.

141.

არ დააბრალო თვალთა ჩემთა გრძნობა ამხელა,
ვით შეგიყვარონ შემხედვარეთ ამდენ ნაკლისა,
შენ გულმა ჩემმა თავის სატრფოდ დაგასახელა,
თვალმა კი არა, მხოლოდ გულმა მოგისაკლისა.
მე ვერ დავთვერი ვერასოდეს შენი სურნელით,
არც შენს საუბარს დაუტკბია სმენა აროდეს,
შენთან ლაღობის ვიქნებოდი, ალბათ, მსურველი,
შენი შეხება ან აღერსი რომ მიხაროდეს.
მაგრამ ამაოდ დაშვრა გრძნობა, – ხუთივე ერთად,
ვეღარ მოთოკეს გული, შენგან განაბრიყვები,
სულელი გული კვლავ ჯიუტად გაცხადებს ღმერთად,
და ნაკაცარი შენს ბრძანებებს მონად მიყვები.
ისღა მამშვიდებს, – თუ ეს გული შენს წინ თავს ხრიდა,
ტანჯვაც მარგუნა ჩემი ცოდვის გამოსასყიდად.

142.

ცოდვად ისა მაქვს, რომ შენს ტრფობას გულით ვატარებ,
სიკეთედ ის გაქვს, მე რომ გძულვარ დაუფარავად,
ჩემს გულს ცოდვიანს თუ საკუთარ გულს შეადარებ,
მაშინ მიხედები, სიძულვილის ღირსი არა ვარ.
ვიცი, სხვებისგან გაკილვას ვერ გადავურჩები,
მაგრამ მე შენგან რა სინდისით გავიკიცხები?!
ვერ მაგინებენ აღისფერი შენი ტუჩები,
როცა თვითონაც ავხორცობენ თავდავიწყებით.
ნება მომეცი, რომ შენდამი ტრფობა მარადგჳყო,
თუ საკუთარ თავს ნებას აძლევ სხვები გიყვარდეს,
გთხოვ შემიბრალო, გულისათვის გულს ხომ არა გთხოვ,
ეს სიყვარული შებრალებით გადამიხადე.
თუ სიბრაღულით შენი გული არ აღივსება,
შენც შებრალება არასოდეს არ გელირსება.

143.

ვის არ უნახავს, კრუსს რომ დასდევს დიასახლისი,
გარბის ქათამი, ვერ ეწევა მისი მდეგარი,
მტირალი შვილი მიუგდია იქვე სახლის წინ
და ბავშვზე უკვე აღარ ფიქრობს დაუდევარი.
დედის კვალდაკვალ ბიჭუკელაც მიხტუნავს მარდად,
გაჰკივის ბავშვი თვალზე ცრემლებშეუშრობელი,
მაგრამ უეცრად გაქცეული ფრთოსანის გარდა,
უკვე ვერაფერს ვეღარ ხედავს მისი მშობელი.
შენც ოცნებები გიტაცებენ უცხო ფრთოსნებად,
მე კი დამტოვე დატვირთული მუდამ დარდებით,
ძვირფასო ჩემო, თუ მიაღწევ ნეტარ ოცნებას,
დამიბრუნდი და მოფერებას ნუ დამზარდები.
შენი ოცნების ახდენისთვის მეც ვარ მლოცველი,
მჯერა, რომ მერე მიპატრონებ დარდით მოცელებს.

144.

ორი არსება თუკი მიყვარს, რომელი დავთმო,
ჩემდა ბედად თუ ჩემდა ჭირად მათ დავემონე,
ჩემი ძმასავით მეგობარი – ყმაწვილი სათნო,
თუ ჩემი ავი ქალბატონი – შავი დემონებრ.
ჩემს სავალალოდ ქალს იმდენი უთვალთმაქცნია,
რომ განუყრელი ჩემი მოძმე ჩუმად წამართვა,
აღბათ დემონად ანგელოსი უცხად აქცია
და კიდევ შესძლო მისი ბედის ავად წარმართვა.
ვინ იცის იქნებ ვერც გახადა ნამდვილ ავსულად,
ვერ აზიარა ცთუნებებით ქცევას უკადრისს,
მაგრამ რადგანაც მზეჭაბუკი მასთან წასულა,
მჯერა, ანგელოსს ჯოჯოხეთი მართლა უქადის.
სიმართლეს მეტყვის ამ დალატის ჩუმად ჩამდენი,
ჯოჯოხეთიდან ქალბატონი როცა განდევნის.

145.

სატრფომ, ვისთვისაც დავდივარ ხელი,
მკაცრად შემხედა ნესტოთ ბერვითა,
ბაგემ, ნაძერწმა ტრფიალის ხელით
უცებ დასძინა: „მართლა ვერ ვიტან!“
მაგრამ მყის იგრძნო კეთილშობილმა,
რომ ვერ შევიძლება ამის ატანას.
ბაგენი მისი არცა შობილან
ამ განაჩენის გამოსატანად.
ბაგემ ახალი სიტყვაც მაჩუქა
და ჩემს სიყვარულს აღარ ვემდური,
თითქოს მზის სხივმა გამოაშუქა
და ღამეც გაქრა ჯოჯოხეთური.
სატრფომ სიცოცხლე ისევ აღმითქვა –
მითხრა: „ვერ ვიტან! თქვენზე არ მითქვამს!“

146.

სულო საბრალოვ, ცოდვილ სხეულს როგორ გაგყარო,
ავხორცულ ძალებს შემოსეულს ვერ გადარეკავ?!
დანაცრებულა შინაგანი შენი სამყარო,
შენ კი ამკობ და ალამაზებ კედლებს გარეგანს.
სხეული შენი დროებითი საცხოვრისია,
ნუ გენადვლება, თუ დარჩება დაუდაფნავი,
სხეული არ ღირს ამდენ მოვლად, რადგან სხვისია,
მხოლოდ ჭიებს თუ გააღაღებს შენი საფლავი.
გაღაღდი, სულო, ღვთაებრივი სხივით იდიდე,
და მიწიერი დაიმონე შენი დიდებით,
შენი იქნება წუთისოფლის მთელი სიმდიდრე,
თუკი გარეგან სამკაულს არ გაეკიდები.
სამარადისო ძალა აღარ შემოგაკლდება
და თვით სიკვდილიც მაშინ ხელში შემოგაკვდება.

147.

ციებ-ცხელება აიტეხა ჩემმა ტრფიალმა;
რითაც ავადობს იმავე შხამის არის მსურველი,
მოუმარჯვია საწამლავით სავსე ფიალა
და სამუდამოდ რჩება ასე განუკურნელი.
ჩემს ტრფიალებას მკურნალობდა გონება სადი,
მაგრამ რა ვუყო, განკურნება თუკი არ მინდა,
საბედისწეროდ რადგან ავეყვ ვნებების ძახილს,
გაწერა ექიმი და უკვალოდ სადღაც წარვიდა.
უკურნებელი სენით დავრჩი ნაიარები,
სულმა ნამდვილი სიგიჟე და შფოთი იწვნია,
გონარეული შეშლილივით დავიარები
და ჭეშმარიტი სინამდვილე ვერ შემიცვნია.
თუმც შენი მზერა ნათელ სხივთა კონა მგონია,
შენს სიშავესთან ჯოჯოხეთიც მონაგონია.

148.

იქნებ ეს თვალნი სიყალბისთვის შობა განგებამ,
და მხოლოდ ტყუილს მაზიარებს მათი თანხლება.
იქნებ გონებას სინამდვილის არ სურს გაგება,
თვალთ დანახულს არასდროს რომ არ ეთანხმება?!
თვალს რომ იტაცებს, თუკი მართლა არის მშვენება,
ეს სილამაზე რად არ ესმით შეურაცხადებს?!
მაგრამ სიგონჯე სინატიფედ თუ მეჩვენება,
მაშინ სიყვარულს, მართლა, ბეცად გამოვაცხადებ!
ტრფობამ დამივსო უძილობით თვალთა უპენი,
რადა იხილოს თვალმა ცრემლით დანაბინდებმა?!
მზეც კი ბრმავედება, როს საავდრო ფარავს ღრუბელი
და შეუქამქრალი ელოდება გაამინდებას.
მაცდურ სიყვარულს ცრემლიანი უნდა მატაროს,
რომ მოჩვენება სინამდვილეს ვერ შევადარო.

149.

ო, უღმობელო, გულცივობა როგორ დამწამე,
შენთვის გავბედე საკუთარი გულის დაღატი,
ის არ ვიკმარე სატანჯველად, შენ რომ მაწამებ,
და შენთვის გავხდი საკუთარი თავის ჯალათი.
განა შენს მტრებთან ვარ ნაზი და ამაგიანი,
განა მეგობრად მივიჩნიე შენი მოძულე?
განა საკუთარ თავს არ ვუხდი სამაგიეროს,
როს წარბებს შეგკრავ, მრისხანების ცეცხლით მოცულებს?
მე ერთი გრძნობაც არ დავტოვე შენაცოდები,
თუ შენი სულის გაღმერთებას ვერ შეეთვისა,
ამ უდაბნოში ხატად დამაქვს შენი ცოდვები
და მორჩილი ვარ შენი ერთი გამოსედვისა.
მაგრამ ყოფილხარ თვალხილულთა ტრფობით გართული,
მე კი თვალეები სიყვარულით მაქვს დაშანთული.

150.

მითხარი, მაინც ვინ შთაგებერა ძალა ამხელა,
ნუთუ ნაკლოვანს ჩემს მბრძანებლად უნდა გრაცხავდე,
შენი წყალობით სინამდვილის მიჭირს გამხელა,
და დღის ნათელი უკუნ ღამედ გამოვაცხადე.
სიკეთედ როგორ მომაჩვენე შენი სიავე,
შემომატყუე სიმახინჯე ნამდვილ მშვენებად.
ეჭვი ყოველი ასე როგორ გამინიავე,
ცოდვები შენი ღირსებებად რომ მეჩვენება.
შენით მონუსხულს სიყვარულის ძალი მერევა,
ზიზღის ღირსი ხარ, მაგრამ მაინც ვერ შეგიძულე,
თუ შენ დამლოცავ, სხვა არ მინდა ბედნიერება,
და არ ვინაღვლებ, ამ სიყვარულს სხვა რომ მიწუნებს.
მე თუ უღირსი შეგიყვარე დაუფარავად,
ამ ღირსებისთვის ტრფობის ღირსი ნუთუ არა ვარ?!

151.

ტრფობა ნორჩია, სინდისი არ მოეთხოვება,
თუმცა სინდისი ქვეყნად ტრფობას გაუჩენია,
შენც არ გაკილო ცოდვიანი ჩემი ცხოვრება,
თუკი არ გინდა, კიდევ ერთხელ ავნო შენიანს.
შენმა ღალატმა ყველაფერი წმინდა წარხოცა,
სხეულის ჟინით შემიცვალა თრთოლვა სულისა,
შენმა ღალატმა საბოლოოდ გამაავხორცა,
სულმა სხეული საბოლოოდ გააგულისა.
შენს სხენებაზე აღზევდება ჩემი არსება,
და იამაყებს, შენ რომ ასე მოგინადირა,
ხან აღსდგება და ხანაც მონას დაემსგავსება,
ძირს დაემხოება და შეგჩივლებს თავის სატირალს.
უსინდისობად ნუ ჩამითვლი, თუ გთხოვ თანხმობას,
თუ შენთვის აღმდგარს, შენს წინაშე მინდა დამხობა.

152.

მე სიყვარულში ცოდვილი ვარ, გამოგიტყდები,
მაგრამ შენ თვითონ ხომ ორკეცი ცოდვით ეწვალე:
ქმარს უღალატე, როს მე მითხარ ფიცის სიტყვები,
და მერე ჩემი სიყვარულიც ზიზლით შეცვალე.
ვიცი და მაინც სამღურავი ვეღარ გითხარი:
ფიცის გატეხის ცოდვა მადევს თავად ოცამდე:
შეცოდებაა, დარჩე ჩემგან განუკითხავი,
შეცოდებაა, მოღალატეს მევე გლოცავდე.
გამოგაცხადე მთელი ქვეყნის წმინდა საუნჯედ,
ვადიდე შენი სინაზე და შენი სიკეთე,
მე სიყვარულით შენს ცოდვებზე თვალი დავხუჭე
და სიმართლისკენ გზა ყოველი გარდავიკეტე.
ამდენ სიცრუეს როგორ ვბედავ, ნეტავ ვიცოდე,
ასე უტიფრად მშვენიერი როგორ გიწოდე.

153.

მარად ანთებულ ჩირაღდანთან სძინავს კუპიდონს
და შეხეთ, ნიმფამ გადაწყვიტა ერთი მზაკვრობა:
სურს, რომ ჩირაღდანს ცეცხლის ძალა გამოუფიტოს
და ყინულოვან ღელის წყალში ცდის მის ჩაქრობას.
უზენაესი სიყვარულის ცეცხლი რა იქნა?!
წყალს გადაედო რაც ჩირაღდანს ძალა ებადა,
უბრალო ღელე სამკურნალო წყლად გარდაიქმნა,
განმკურნებელად ათასნაირ სნეულებათა.
ღმერთმა ის ცეცხლი კვლავ აანთო სატრფოს თვალთაგან,
მკერდზე მომადო ჩირაღდანი ალის ნაკადით,
მეც სიყვარულის შემოტევამ მყისვე გამთანგა
და ჯავრიანი სამკურნალო წყლისკენ გავქანდი.
შველა ვერ ვპოვე. ახლა უკვე იმ აზრს ვადგივარ, –
მხოლოდ მიჯნური თუ მომირჩენს მძიმე სატკივარს.

154.

თურმე ხანდახან კუპიდონსაც ძილი უნდება:
მიწვა და თავის ჩირაღდანი იქვე მიაგდო,
ცეცხლი მოსტაცეს ფერიათა თეთრმა გუნდებმა,
და არვინ უთხრა – ჩირაღდანი ნიმფებს მიაქეთო.
რომ კაცთა მოდგმას დაავიწყდეს ძველი განცდანი,
რომ ადამიანს ტრფობამ სული ვერ დაუბინდოს,
რომ მიჯნურობით არ ეწამონ ძენი კაცთანი,
ნიმფამ მოსტაცა სიყვარულის ცეცხლი კუპიდონს.
აგერ, გამოჩნდა ცივი წყარო ნიმფას წინარე
და მანაც წყალში გადააგდო ალი წყეული.
ჩამქრალ ჩირაღდნით უცებ გათბა თვითონ მდინარე,
ავადმყოფთათვის სამკურნალო წყლებად ქცეული.
მეც სააქიმოდ მოველ, მაგრამ უკვე ვიცი მე:
ტრფობა რომ ათბობს, იმ წყლით ტრფობას ვერ გავიცვივებ!

